**ნეგატიური მოვლენები შუქდება, გადმოსცემენ მხოლოდ უარყოფითს, გვამცნობენ მხოლოდ ტრაგედიებს — ამან ეს მოკლა, ეს მანქანა გადავარდა, ამდენი ადამიანი დაიღუპა და კიდევ სხვა უამრავ მსგავს რამეს! ამასთან, ვერც ერთ ინფორმაციას ვერ ვილებთ პოზიტიურს! არავინ გვაუწყებს, რომ რაღაც სასიკეთო გაკეთდა ან რაღაც ახალი აღმოაჩინეს, თითქოს კარგი სრულებით არაფერი ხდება!**

მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება ადამიანს გონებას ურევს და იგი ფსიქოზამდე მიჰყავს! ეს ძალიან საშიშია კაცობრიობის მომავლისათვის. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გადასცეს ინფორმაცია, რომ ვიღაც ადამიანმა სხვა ადამიანი მოკლა და უკვე გარდაცვლილს კიდევ 40-ზე მეტი ჭრილობა მიაყენა! წარმოიდგინეთ, როგორი გაბოროტებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ასეთი რამ ჩაედინა! და ამ ყოველივეს დაწვრილებით უამბობენ ხალხს! აბა, ხალხს რაში სჭირდება ასეთი ინფორმაცია? ეს ხომ პოლიციის საქმეა! უნდა იცოდეთ, რომ ასეთი ამბების მოყოლით



ჩვენ ბოროტებას ვთესავთ, რადგან ახლგაზრდები შემდეგ იმეორებენ იმას, რასაც ტელევიზიით ისმენენ და პრესაში კითხულობენ. აი, ამაზე გვმართებს ფიქრი.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგახაროთ და ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! ღმერთმა ინებოს, რომ მხოლოდ სიკეთე მოისმინოთ და სიხარული სუფევდეს თქვენს გულში, თქვენს ოჯახებსა და საქართველოში, ამინ!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს დაბადების დღე

4 იანვარს, დილის 11 საათიდან საპატრიარქო რეზიდენცია ხალხს ვერ იტევდა. სასულიერო პირები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, მორწმუნე საზოგადოება — ყველანი უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის დაბადების დღის მისალოცად შეიკრიბნენ. მიღებაზე ჟღერდა ხალხური სიმღერები, კლასიკური მუსიკა, პატრიარქის საგალობლები. პატარებმა პატრიარქს ხალხური სიმღერითა და ცეკვით მიულოცეს. კათოლიკოს-პატრიარქისთვის მისალოცად ასევე სხვადასხვა ეროვნული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებიც ეწვივნენ. პატრიარქი სტუმრებს ღვინითა და გოზინაყით გაუმასპინძლდა.



იმავე დღეს, საღამოს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა პატრიარქისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო.

### ხელდასხმა

2 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად აკურთხა ამავე ტაძრის ღვთისმსახური, **დიაკონი გიორგი პოლოსოვი.**

### დაჯილდოება

2 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

**მეორე გამშვენებული ჯვრით** — ნაძალადევის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი უშანგი ჩარკვიანი;*

**მიტრით** — ნუცუბიძის III პლატოზე მდებარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი გიორგი გარ-*

*დიშიანი;*

**გამშვენებული ჯვრით** — თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი თავმაზ ჩოხელი;*

**ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით** — სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელ-მონაზონი იოანე (ტოგონიძე);*

**ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** — ნუცუბიძის III პლატოზე მდებარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი ილია გვაზავა.*

## შეეწიეთ სნეულ პატარას



2 წლის ილია იმერლიშვილს ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.

ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი მანკით — ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზით. წელიწადი და 4 თვეა, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში:

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;**

**ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502**

**მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი.**

**მიმღების ანგარიშის ნომერი: 47000000027047 3600 მაგთის, ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომრებზე: 700861 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი), ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681.**

**დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტსაიტზე — www.support-ilia.com საკონტაქტო ტელეფონები: 23-10-86 ; 874-555-277 — ბავშვის დედა ნაზი ამონაშვილი.**

## მეოხნი

### წმინდა მოციქული, პირველმოწამე და მთავარდიაკონი სტეფანე (+34)

**9 იანვარი**



იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ უფლის სიტყვა სწრაფად ვრცელდებოდა და მორწმუნეთა რიცხვიც ყოველდღიურად იზრდებოდა. ქრისტიანული თემის ყოფითი მოთხოვნილებები უზრუნველყოფილი იყო, რადგან ვისაც სახლები ან დაბები გააჩნდა, ყიდდა მათ, სასყიდელს და „დასდებდეს ფერხთა თანა მოციქულთასა“, ეს უკანასკნელნი კი უნაწილებდნენ „კაცად-კაცადსა, რაიცა ვის უხმდა“ (საქმ. IV, 33-35).

სხვადასხვა ტომის ადამიანებს შორის, თანდათან წარმოიქმნა უთანხმოებანი; მაგალითად, ბერძენი ებრაელები ჩიოდნენ, რომ მათ ქვრივებს შესაწევარი მცირე რაოდენობით ეძლეოდათ. ამან მოციქულთა ყურადღებაც მიაღწია. მათ არ ისურვეს ქადაგების დატევების ფასად ეტვირთათ ზრუნვა ქრისტიანული თემის სამეურნეო საქმეებზე, ამიტომ მოწაფეთაგან შვიდი კაცი გამოარჩიეს „სახმარსა ამას ზედა“ დასადგენად და დიაკვნებად დაასხეს ხელი. წმიდა სტეფანე, „კაცი სავსე სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა“ - მთავარდიაკვნად აკურთხეს.

იერუსალიმში „სიტყუაი იგი ღმრთისაი აღორძნდებოდა“ და მოწაფეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მრავალი ებრაელი მღვდელმსახურიც მოექცა ქრისტეს სარწმუნოებაზე. ამას სტეფანეც უწყობდა ხელს, თავისი მადლმოსილი ქადაგებითა და სასწაულებით. გალიზიანებული იუდეველები შეეცადნენ, სიტყვიერ პაექრობაში დაემარცხებინათ უფლის რჩეული, მაგრამ როცა ვერაფერს გახდნენ, დაასმინეს იგი - ღმერთსა და მოსეს ჰგმობსო. ამ ბრალდებით წარდგა ნეტარი სინედრიონისა და მღვდელმთავრის წინაშე. პირი მისი იხილვებოდა, „ვითარცა პირი ანგელოზისაი“.

წმინდა სტეფანემ შემოკრებილებს ებრაელი ერის ისტორია მოუთხრო და ამხილა იუდეველები წინასწარმეტყველთა დევნასა და განკაცებული მესიის - იესო ქრისტეს მკვლელობაში. ქადაგების დროს წმინდანმა „ახედნა ცად და იხილა დიდებაი ღმრთისა? და იესუ, მდგომარე მარჯუენით ღმრთისა“. როცა მან გააცხადა ეს ხილვა, ბრბომ, ყურებდაცობილმა, ღრიალით მიმართა ნეტარს, ქალაქგარეთ გაიყვანა და ქვებით ჩაქოლა. მოშორებით, ბორცვზე, ღვთისმშობელი იდგა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად და ღმერთს ავედრებდა მონამეს, სტეფანე კი მხურვალედ ლოცულობდა თავისი მტრებისთვის. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას... და ესე ვითარცა თქუა, დაიძინა“ (საქმ. 6-7).

წმინდა სტეფანე მოწამეობრივად აღსრულებული პირველი ქრისტიანი იყო. იგი ოცდაათი წლისა მიიცვალა.

მხეცთა საჯიჯგნად დაგდებული ნეტარის ცხედარი ცნობილმა სჯულისმოძღვარმა გამალიელმა და მისმა ძემ, აბიბოსმა ფარულად წაასვენეს და მიწას მიაბარეს. მოგვიანებით ორივე მათგანმა ირწმუნა ქრისტე და მოინათლა.

415 წელს საღვთო ჩვენების შემდეგ აღმოიყვანეს სტეფანე პირველმოწამის უხრწნელი ნაწილები, რომლებიც იერუსალიმში, სიონის ტაძარში გადააბრძანეს.

ზოგიერთს ჰგონია, თითქოს ასირიელები მონოფიზიტები არიან. სინამდვილეში ეს ასე არ არის, — ასირიელი მოსახლეობა საქართველოში სწორედ იმიტომ წამოვიდა, რომ არ ისურვა მონოფიზიტობის მიღება. ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ეს უნდა ახსოვდეთ ჩვენს ასირიელ ძმებსა და დებს! ღმერთმა მშვიდობა და ძალა მოგცეთ! ღმერთმა გაგამრავლოთ და მოგანიჭოთ მადლი — უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი!



დღეს ჩვენმა ასირიელმა ძმებმა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარს შემოსწირეს ასურელი მამების ხატი და ჩვენ მადლობას ვწირავთ მათ ამისთვის.

მინდა ასევე აღვნიშნო ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო და სასიხარულო ფაქტი: ჩვენ გვყავს ასირიელი მოძღვარი...

დღეს წირვას დაესწრო ასევე კინოდოკუმენტალისტების ჯგუფი, რომელსაც განზრახული აქვს შექმნას დოკუმენტური ფილმები ქართულ ტაძრებზე. ასე რომ, სულ მალე გვექნება საკმაოდ დიდი ოდენობა ფილმებისა ყველა ტაძრის შესახებ. ღმერთმა დაგლოცოთ და შეგაძლებინოთ ამ კეთილი საქმის გაკეთება!

დღეს წირვაში მონაწილეობდნენ მოძღვრები ქუთაის-გაენათის ეპარქიიდან. მინდა აღვნიშნო ზოგიერთი მათგანის დამსახურება ჩვენი ეკლესიის წინაშე.

დეკანოზი უჩა ასათიანი, რომელიც მრავალი წელია საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობს, დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრით.

მღვდელი დავით მეგრელი ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი გრიგოლ ჭიჭინაძე ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი ანდრია არველაძე ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი სტეფანე ნანობაშვილი ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი ზოსიმე ჭუმბურიძე ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი შოთა მიქაბაძე ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

მღვდელი შოთა ბაბლიძე ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

დღეს ილოცებიან შემდეგი გვარები: **დადუნაშვილები, წეროძეები, ჭეხანები, ლობჟანიძეები, ჩიკვილაძეები და ალხიძეები**. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, გაგამრავლოთ, მშვიდობა მოგცეთ და მრავალი თავდადებული მამულიშვილი გამოსულიყოს თქვენი გვარებიდან!

დღეს არის ანგელოზის დღე მეუფე სტეფანესი. თქვენი, ჩვენი წმინდა სინოდისა და სამღვდელოების სახელით ვულოცავთ მას ანგელოზის დღეს!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო, ამინ!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### მეალილოეები თბილისის ქუჩებში

7 იანვარს, დღის 2 საათზე მეალილოეები რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ. სხვადასხვა ტაძრებიდან მოსული მოძღვრები, თავიანთი მრევლით, ლოცვითა და გალობით ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრისკენ გაემართნენ.

მეალილოეები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ეწვივნენ. მსვლელობას საპატრიარქოს რეზიდენციიდანაც შეუერთდნენ, რომელშიც თავად კათოლიკოს-პატრიარქმაც მიიღო მონაწილეობა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ალილოს მონაწილეები დალოცა და ქართველ ხალხს შობის დღესასწაული მიულოცა.

### დაჯილდოება

7 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შობის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — ქუთაისის

წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი ავთანდილ გრძელიძე;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი გიორგი ანტიპოვი.**

***

9 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

დეკანოზის წოდებითა და გამშვენებული ჯვრით — დეკანოზი უჩა ასათიანი, მღვდელი დავით მეგრელი, მღვდელი გრიგოლ ჭიჭინაძე, მღვდელი ანდრია არეულაძე, მღვდელი სტეფანე ნანობაშვილი, მღვდელი ზოსიმე ჭუმბურიძე,

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი შოთა ნიქაბაძე, მღვდელი შოთა ბაბლიძე,

### ხელდასხმა

2 იანვარს გარდაბნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი დავით ლორთქიფანიძე.

დიაკონი დავითი გარდაბნის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

***

7 იანვარს, ქრისტეშობის დღესასწაულზე, სამტრედიის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარში ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) დიაკვნად დაასხა ხელი ბათუმის სასულიერო სემინარიის მე-3 კურსის სტუდენტს ანტონ ვაშაკიძეს.

### აღკვეცა

3 იანვარს ხონის საბა განმედილის სახელობის მამათა მონასტერში ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი შალვა ბერიკაშვილი და სახელად ელიზბარი უწოდა.

### ყოვლადწმინდა სამების ახალი ტაძარი

ქრისტეშობის დღესასწაულზე დუშეთისა და წილკნის ეპარქიის სოფელ მუხრანს კიდევ ერთი მოქმედი ტაძარი შეემატა.

2009 წლის 26 სექტემბერს, წმინდა ქეთევან დედოფლის ხსენების დღეს, სოფელ მუხრანს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობდა. სწორედ ამ დღეს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა, რომ ამ ადგილას ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი აშენებულიყო და საძირკველიც იკურთხა.

ახალი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დუშეთისა და წილკნის მიტროპოლიტმა ზოსიმემ აკურთხა და სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი დავით მგელაშვილი.

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

*„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:*

რევმატოლოგი — 13 იანვარს, 16.30-18.00 სთ.;

ანგიოლოგი — 15 იანვარს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 15 იანვარს, 15.30-17.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 16 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 17 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

დერმატოლოგი — 18 იანვარს, 15.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 19 იანვარს, 16.00-17.00 სთ.

**კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## მეოხნი

### წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**14 იანვარი**



ღვთისგან მამამთავარ აბრაამისა და მისი შთამომავლობისათვის მიცემული აღთქმის მოსაგონებლად (დაბ. 17,10-4; ლევ. 12,3), ძველი აღთქმის მიხედვით, მამრობითი სქესის ყველა ჩვილ ბავშვს უნდა წინადაეცვითა. შობიდან მერვე დღეს წინადაიცვითა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემაც – თვით სჯულის შემოქმედმა აღასრულა სჯულის მოთხოვნა, რომ ჩვენთვის ღვთაებრივი ნების მორჩილების მაგალითი ეჩვენებინა. უფალმა წინადაიცვითა და ამით ცხადად გვიჩვენა, რომ მან ჭეშმარიტად შეისხა ხორცი და განკაცდა. ამ წესის აღსრულების დროს დაერქვა ქრისტეს სახელი იესო, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს აუწყა მთავარანგელოზმა გაბრიელმა (ლუკ. 1,31-33; 2,21). **იესო მაცხოვარს** ნიშნავს და მიანიშნებს, რომ ქრისტე სამყაროს გამოსახსნელად განკაცდა.

წინადაცვეთა ნათლისღების წინასახეს წარმოადგენდა. ახალ აღთქმაში იგი ნათლობის საიდუმლომ შეცვალა (კოლ. 2,11-12).

ცნობები აღმოსავლეთის ეკლესიაში წინადაცვეთის დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ IV საუკუნიდან მოგვეპოვება. დღესასწაულის კანონი დაწერა ღირსმა სტეფანე საბაიტელმა (ხს. 28 ოქტომბერს).

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ხელდასხმა

2 იანვარს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ნაქულბაქევის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის (დიღომი) ბერმონაზონი გიორგი (ქობალია).

ბერ-დიაკონი გიორგი ავჭალის მაცხოვრის ნათლისღების სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

9 იანვარს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში არგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ირაკლი ოჩიგავა და სახელად იოანე უწოდა.

დიაკონი იოანე ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

9 იანვარს სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) დიაკვნად აკურთხა ფოთის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ეროსი ივანოვი.

დიაკონი ეროსი სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

16 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის ღვთისმსახურს, დიაკვან ნიკოლოზ გვიშიანს.

* * *

16 იანვარს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა (იორამიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი გიორგი ბერბერაშვილი.

### დაჯილდოება

19 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა სასულიერო პირები:

**არქიმანდრიტის წოდებით** — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, *იღუმენი ლაზარე (მახარაშვილი).*

**მიტრით** — ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი დიმიტრი ლეკვეიშვილი.*

**გამშვენებული ჯვრით** — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურნი: *იღუმენი ანთიმოზი (ბიჩინაშვილი); იღუმენი ათანასე (სვანიძე); დეკანოზი გრიგოლ გოგიჩაძე; დეკანოზი ირაკლი ჭინჭარაული, დეკანოზი გივი გივიშვილი; დეკანოზი გიორგი სახვაძე;*

**გამშვენებული ჯვრით** — გლდანის ლომისას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი ირაკლი კუთხაშვილი.*

**ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით** — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, *მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (კალანდაძე).*

* * *

16 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები:

**მიტრით** — ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, *დეკანოზი ბასილ შაყულაშვილი;*

**გამშვენებული ჯვრით** — თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი გიორგი ბურდეინი.*

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ოტორინოლარინგოლოგი — 19 იანვარს, 16.00-17.00 სთ.;

ალერგოლოგი — 21 იანვარს, 16.00-17.00 სთ.;

ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 22 იანვარს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 22 იანვარს, 13.00-14.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 25 იანვარს, 15.00-17.00 სთ.

**კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდ ბრიტანეთს ეწვევა

2011 წლის 5-15 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში.

5-10 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვევა დიდი ბრიტანეთის ქართულ სათვისტომოს, აკურთხებს ქართულ ტაძარს ლონდონში.

11-15 თებერვალს უწმინდესი და უნეტარესი ილია II ძმური ვიზიტი ეწვევა მის მოწყალებას, კენტერბერის მთავარეპისკოპოს ლონდონსა და კენტერბერში.

## მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი)

მწუხარებით შევიტყვეთ ცნობა შვილის გარდაცვალების შესახებ.

დიდია თქვენი ოჯახის გულისტკივილი, მაგრამ ღვთის შეწევნით შეძლებთ ამ განსაცდელის გადატანას, რადგან ნუგეშინისმცემელი უფალი მოგცემთ ამის ძალას.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონი ვალერის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დაამკვიდროს იგი.

პატივისცემით
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ქუთაის-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილს) გარდაეცვალა შვილი — ვალერი მარგალიტაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვალერის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის გიმნაზიის თანამშრომელს — მზია ზაალიშვილს გარდაეცვალა დედა — ფოტინე ზაალიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ფოტინეს სული.

## ხელდასხმა

7 იანვარს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ირაკლი ოჩიგავა და სახელად იოანე უწოდა.

* * *

14 იანვარს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის წმინდა ბასილი დიდის სახელობის ტაძარში ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან ზაზა სულაბერიძეს.

## დაჯილდოება

14 იანვარს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის წმინდა ბასილი დიდის სახელობის ტაძარში ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) მღვდელი ბასილ გერაძე დააჯილდოვა ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

## მონასტრების კურთხევა

18 იანვარს რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) აკურთხა სამგორის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის დედათა მონასტერი და ტაძარი. წირვის შემდეგ მონასტერი მოილოცა და სამადლობელი პარაკლისი აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

პარაკლისის დასრულებისას მან დალოცა ტაძარში შეკრებილი მრევლი და მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი ქეთევანი (ჯანუყაშვილი) ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და იღუმენიას წოდება მიანიჭა.

* * *

18 იანვარს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ავჭალის მაცხოვრის ნათლისღების სახელობის მამათა მონასტერი და ეკლესია. წირვაზე ეპისკოპოსმა იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი ამავე მონასტრის საძმოს წევრს, ბერ-დიაკონ გიორგის (ქობალია).

* * *

20 იანვარს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა გლდანულას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტერი.

მონასტრის წინამძღვრად მღვდელ-მონაზონი ნერსე (სამხარაძე) დაინიშნა.

## იუბილე

გამოვიდა გაზეთ „მადლის" საიუბილეო ნომერი. 21 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი მის გამოცემას. საქართველოს ეკლესიის მრევლმა კარგად იცის ამ გაზეთის მნიშვნელობა და ღირებულება. და ახლა, როცა ასე გავნებივრდით სასულიერო ლიტერატურის სიმრავლითა და სიმდიდრით, გვმართებს, გავიხსე-



ნოთ ის მოლოდინი და სიხარული, რომელსაც გაზეთ „მადლის“ ყოველი ახალი ნომერი გვანიჭებდა. გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქციამ კარგად უწყის როგორ სირთულეებში იშვება ასეთი გამოცემები. ისიც კარგად გვახსოვს, როგორი სამაგალითო პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმის მესაჭე — ქ-ნი გვანცა კოპლატაძე, თავის თანამშრომლებთან ერთად, გაზეთ „მადლის“ ფურცლებზე დასაბეჭდ ყოველ სიტყვას.

ვისურვოთ და ვთხოვოთ ღმერთს, რომ მათ კვლავაც ჩვეული ქრისტიანული მოშურნეობით გააგრძელონ თავიანთი საქმე და კვლავაც საჭირო მასალით გაამდიდრონ ქართული მართლმადიდებლური ლიტერატურა, ღვთივსათნო ცოდნით კი საქართველოს ეკლესიის მრევლი.

**გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია**

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი — 28 იანვარს, 16.30-18.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 29 იანვარს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 29 იანვარს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 29 იანვარს, 15.30-17.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 30 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 31 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 2 თებერვალს, 16.00-17.00 სთ.

**კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***

***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## დაჯილდოება

23 იანვარს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

**დეკანოზის წოდებით და გამშვენებული ჯვრით:**

ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, *მღვდელი გიორგი გაბუნია;*

**დეკანოზის წოდებით:**

მესხეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *მღვდელი იოსებ ზაქარაიძე;*

მაღლაკის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესის წინამძღვარი, *მღვდელი დავით ჯანელიძე;*

პატრიკეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი გიორგი ხოჯავა;*

ქუთაისის (პანთეონი) წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *მღვდელი რევაზ კოხრეიძე;*

წყალტუბოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *მღვდელი გიორგი ხარაბაძე.*

**ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით:**

ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი ლუკა წითური;*

თბილისის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი დიმიტრი ბურდული.*

## ეთნოგრაფიული გამოფენა თოჯინების მუზეუმში

22 იანვარს თბილისის თოჯინების მუზეუმში გაიხსნა ეთნოგრაფიული კოლექციის გამოფენა, სახელწოდებით „ელიაო, ელიაო, რასა მოგიწყენიაო?!“

მუზეუმის მესვეურები გამოეხმაურნენ კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის მრევლისადმი მიცემულ ლოცვა-კურთხევას თოჯინების დამზადებასთან დაკავშირებით.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მუზეუმის ფონდში დაცული ეთნოგრაფიული მასალა (თოჯინები, სათამაშოები, ჩანახატები და ხალხური თამაშობები), რაც მუზეუმში გასული საუკუნის შუა პერიოდში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად დაგროვდა.

გარდა ექსპოზიციისა, რომელიც პირველად გამოიფინება და წარმოადგენს ხალხური წესით დამზადებულ თოჯინებსა და სათამაშოებს, მუზეუმი სტუმრებს სთავაზობს თოჯინების დამზადების ხალხური წესების მასტერკლასს და ხალხური თამაშების შესწავლას.

გამოფენის გახსნას მრავალი სტუმარი და ჟურნალისტი დაესწრო. სტუმრებს შორის ყველა ასაკის ადამიანი იყო. ექსპოზიციამ დამთვალიერებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დე ქართველი მორწმუნე. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქადაგებით მიმართა მრევლს, ერთობისკენ მოუწოდა და აღნიშნა: „გვწამს, რომ სულ მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც საქართველო გამთლიანდება. ამისთვის საჭიროა ერის ერთობა. დღეს არსებობს საშუალება, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები, თუნდაც ინტერნეტის საშუალებით, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და თავისი გულისტკივილი თუ სიხარული ერთმანეთს გაუზიარონ." კათოლიკოს-პატრიარქმა მოუწოდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, გააღრმავონ ურთიერთობები აფხაზებსა და ოსებთან.

6-7 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დაათვალიერა ლონდონის ცნობილი ბიბლიოთეკა, მოინახულა ლონდონის ტაძრები.

ვიზიტის ფარგლებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თანმხლებ პირებთან ერთად, შეხვდება კენტერბერის მთავარეპისკოპოსს როუენ უილიამსი ლონდონსა და კენტერბერში. ასევე შედგება დიალოგი მრგვალ მაგიდასთან თემაზე „დღევანდელი ეკლესიის მისია თანამედროვე სწრაფად ცვალებად საზოგადოებასა და გლობალური არეულობის ეპოქაში".

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის პატივსაცემად გაიმართება ოფიციალური მისალმების ცერემონია „ლემბერთ პალასში".

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამშობლოში მირქმის დღესასწაულზე დაბრუნდება.

**მარიამ გაგუა**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია საპატრიარქოში

8 თებერვალს საპატრიარქო რეზიდენციას ეწვია მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია. სტუმრები მიიღეს საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობაშვილი) და პრესცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ.

მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წარმომადგენლები საბერძნეთიდან, ბელორუსსა და პალესტინიდან საქართველოში უკვე მეორე დღეა იმყოფებიან. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები საქართველოს პარლამენტს ესტუმრნენ. ასამბლეის გენერალური მდივნის ანასტასიას ნერანძისის განცხადებით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტში შეიქმნება საგანგებო ჯგუფი, რომელიც ასამბლეასთან ითანამშრომლებს.

საპატრიარქო რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე სტუმრებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისთვის საჩუქრად ათენის ბენაკისის მუზეუმში დაცული ფიალის ასლი ჩამოიტანეს. სტუმრებმა სინანული გამოთქვეს, რომ არ მიეცათ საშუალება, პირადად შეხვედროდნენ უწმინდესსა და უნეტარესს, რომელიც ამჟამად დიდ ბრიტანეთში იმყოფება ვიზიტით.

### დაჯილდოება

27 იანვარს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით დააჯილდოვა რუისისა-ურბნისის ეპარქიაში მოღვაწე მონაზვნები.

**გამშვენებული ჯვრით:**

იტრიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *იღუმენია პელაგია (თვარაძე)*;

სამწევრისის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *სქიმიღუმენია ალექსანდრა (ძაგნიძე)*.

**ოქროს ჯვრითა და იღუმენიას წოდებით:**

ურბნისის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ბარბარე (გეგიძე)*;

ბებნისის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ეკატერინე (ელოშვილი)*;

მერეს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი მარიამი (კურტანიძე)*;

ორთუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი მარიამი (ჩხაიძე)*;

ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ანთია (თავართქილაძე).*

**ოქროს ჯვრით:**

რუისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ემილია (შუბლაძე);*

დირბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ნატალია (ხახუტაშვილი);*

ხაშურის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ევგენია (ჟორდანია);*

ხაშურის წმინდა მარინეს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი მარინე (რაზმაძე);*

სურამის მაცხოვრის ამაღლების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი თამარი (ფიჩხაია);*

სურამის იობ მრავალტანჯულის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ელისაბედი (სიხაშვილი);*

სომანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი მაკრინე (ჯვარისაშვილი);*

ბრეთის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი ანჯელინა (ოსაძე).*

## ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

18 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქ. თბილისში გაიხსნა მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერი. ახალი ტაძარი აკურთხა და პირველი წირვა აღავლინა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი).

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი იოანე (გვაჯაია).

ეპისკოპოსმა იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ გიორგის (ქობალია). მღვდელ-მონაზონი გიორგი ამავე ტაძარში იმსახურებს.

## ხელდასხმა

30 იანვარს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი თენგიზ კიკნაველიძე და სახელად სვიმონი უწოდა.

დიაკონი სვიმონი ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი — 12 თებერვალს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 12 თებერვალს, 15.30-17.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 13 იანვარს, 12.00-14.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 16 თებერვალს 16.00-17.00 სთ.

**კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***

***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## განცხადება

2011 წლის 27 თებერვალს წმინდა ილარიონ ახალი ქართველის (ყანჩაველის) ხსენების დღეს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში შედგება ყანჩაველების გვარის დალოცვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საგანგებოდ სამების ტაძრისთვის დაიწერა წმინდა ილარიონის ხატი (ხატმწერი ლაშა კინწურაშვილი).

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის სტიქაროსან ზაზა ყანჩაველთან, ტელ. 899557059.

## შეეწიეთ სნეულ ბავშვს

12 წლის თამარ ჯანგირაშვილს, რომელიც იმყოფება ჰემო-დიალეზზე, ესაჭიროება თირკმლის ხელახალი გადანერგვა და ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობა, რის საშუალებაც ოჯახს არ აქვს. გთხოვთ, გაუწიოთ მატერიალური დახმარება და დარეკოთ ნომერზე 700-503.

გადაწყვეტილებას. მათ შორის, წმინდა სინოდშიც ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვისაც გულწრფელად უყვარდა წმინდა იოანე ოქროპირი და ამ განაჩენს ხელი არ მოაწერეს. უფრო მეტიც, მათ გააპროტესტეს ეს გადაწყვეტილება და განაცხადეს: გავემჯნებით სინოდს და ცალკე სინოდს შევქმნითო. და რადგან ბევრნი იყვნენ, მართლაც შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ. მაშინ წმინდა იოანე ოქროპირი ცრემლით ევედრებოდა მათ: „ღვთის გულისათვის, ნუ იზამთ ამას! ნუ განუდგებით ეკლესიას! როგორც სინოდის წევრებმა, უბრალოდ დაწერეთ თქვენი პროტესტი, მაგრამ არასდროს დაარღვიოთ ეკლესიის ერთობა!" ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მრავლისმეტყველი ფაქტია.

ჩემი პატარა გამოცდილებიდანაც გეტყვით: არის ხალხის კატეგორია, რომელთაც ეკლესიის გადმოცემათა და კანონთა მიმართ აქვთ ძალიან ზედმიწევნითი, სქოლასტიკური დამოკიდებულება. თუმცა არც ეს არის თავისთავად ცუდი და ასეთი ხალხი არ არის საზიანო ეკლესიისთვის, ცხადია, თუკი ისინი მოზომილად და ფრთხილად მოქმედებენ. მაგრამ თუ ღვთისმოშიშების საბაბით სწორი გზიდან გადაუხვიეს, ძალიან დიდი ბოროტების მოტანა შეუძლიათ — პირველ რიგში, საკუთარ თავს დააზიანებენ, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ბოროტებას გაუკეთებენ ეკლესიას. წმინდა იოანე ოქროპირი მათზე ამბობს: „სქიზმატურ მოქმედებას ეკლესიის წინააღმდეგ მოწამეთა სისხლიც ვერ ჩამოხოცავსო", ხოლო სხვაგან ამბობს: „სჯობს ხიბლში მყოფი ეკლესიაში, ვიდრე მართლმკვეთელი ეკლესიის გარეთო". ესეც ბევრზე მეტყველებს.

*შეხვედრის დასასრულს სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და ამ შეხვედრის სამახსოვრო საჩუქრად, სასულიერო აკადემიის სახელოსნოში დაწერილი მთავარანგელოზის ხატი გადასცა. არქიმანდრიტმა ეფრემმა სასულიერო აკადემიას ვატოპედის მონასტრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი სასწაულთმოქმედი ხატის ასლი უსახსოვრა.*

*ათონელმა სტუმრებმა სტუდენტებს ვატოპედის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოსებ ვატოპედელის ხატები აჩუქეს.*

*მოამზადა მარიამ გაგუამ*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ხელდასხმა

26 თებერვალს ბოლნისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის დიაკვან მიქაელ არეშიძეს.

მღვდელი მიქაელი კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

27 თებერვალს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვან გიორგი ტატურაშვილს.

მღვდელი გიორგი ქვეშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

### დაჯილდოება

25 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერი და სამადლობელი პარაკლისი აღავლინა. მან ქადაგებით მიმართა მრევლს და დალოცა ტაძარში შეკრებილნი. ქადაგების შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების ტაძრის ქტიტორს, მსოფლიო ბანს, ბატონ პაატა ბურჭულაძეს საჩუქრად გადასცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, ხოლო ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა:

კრწანისის წმინდა საბა განწმედელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენ ექვთიმეს (ციხისელი);

წყნეთის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენ ეგნატეს (ჩუხუა);

მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრს, იღუმენ ზოსიმეს (სისვაძე).

### განცხადება

4 მარტს, 12.30 სთ. ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძართან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შედგება ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?" დასკვნითი ტური. თამაშში მონაწილეობენ სასულიერო სემინარიის, აკადემიისა და სადვთისმეტყველო ინსტიტუტის პირველკურსელები.

დასწრება თავისუფალია.

**15 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II იაპონიაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, წმიდა სინოდის წევრებთან ერთად იმყოფებოდა იაპონიის საელჩოში თანაგრძნობის გამოსახატავად.**

**სამძიმრის წერილები ასევე გაეგზავნათ იაპონიის იმპერატორს და იაპონიის ეკლესიის მეთაურს, მის უდიდებულესობას, იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს.**

### მის უდიდებულესობას, იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს

ყველა მწუხარებით ადევნებს თვალს იმ მოვლენებს, რაც 11 მარტს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ იაპონიაში განვითარდა. ეს ტრაგედია მსოფლიო ტკივილად იქცა.

მიიღეთ საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სამძიმარი და დიდი გულისტკივილი და გთხოვთ გადასცეთ იგი თქვენს მოსახლეობას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ იაპონიამ ამ დღეებში მსოფლიოს უჩვენა მაგალითი სიმტკიცის, შინაგანი სიძლიერისა და ორგანიზებულობისა, მაგალითი იმისა, თუ როგორ ღირსეულად შეუძლიათ ამ ქვეყნის მკვიდრთ გაუძლონ ურთულეს პრობლემებს.

ღმერთმა დალოცოს იაპონია და მისი მკვიდრნი.

ღმერთმა მთელ მსოფლიოს მიანიჭოს მშვიდობა.

### ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

**მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას დანიელს, მიტროპოლიტს ტოკიოსი და სრულიად იაპონიისა**

**თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,**
საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ გულითადი თანაგრძნობა 11 მარტს მომხდარი მიწისძვრისა და მათი შემდგომი მოვლენების გამო და გთხოვთ სამძიმარი გადასცეთ მთელ ერს.

იაპონიის მოსახლეობამ გამოიჩინა უდიდესი ნებისყოფა და შინაგანი სიმტკიცე, რითაც მაგალითი უჩვენა მსოფლიოს ჭირსა შიგან გამაგრებისა.

ღმერთი იყოს იაპონიის მართლმადიდებელი ეკლესიის და მთელი ქვეყნის მფარველი.

ქრისტესმიერი სიყვარულით

**ილია II სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ხელდასხმა

30 იანვარს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) დიაკვნად აკურთხა ქრისტო ვაჩნაძე და სახელად მიქაელი უწოდა.

დიაკონი მიქაელი ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

27 თებერვალს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) დიაკვნად აკურთხა კახაბერ კოსი და სახელად ილარიონი უწოდა.

დიაკონი ილარიონი ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

6 მარტს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ბახტრიონის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიის დიაკონ თეოდორე ფარნაშვილს.

მღვდელი თეოდორე ბახტრიონის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

6 მარტს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის დიაკონ გიორგი ბერძულიშვილს.

მღვდელი გიორგი თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

13 მარტს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ბასილ კვანტალიანი.

დიაკონი ბასილი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

### დაჯილდოება

13 მარტს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება.

**გამშვენებული ჯვრით:**



ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი დორეული;

ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ნუცუბიძის II პლატო), დეკანოზი ანდრია თოდაძე;

დეკანოზის წოდებით:
ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი თეოდოსი სარდანაძე;
ბანოჯას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი დიმიტრი ყიფიანი;
ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (სულხან-საბას ქუჩა), მღვდელი გიორგი კეშელავა;
ზარათის წმინდა გიორგისა და წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიების წინამძღვარი, მღვდელი იოანე მიხელიძე;
ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ვაჟა-ფშაველას ქუჩა, გოჭოურა), მღვდელი იოსებ კოხრეიძე;
ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით:
ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი პეტრე გაბუნია;
ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, მღვდელი პანტელეიმონ ხუბულავა;
ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი არსენ თვალიაშვილი.

## საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

***საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:***

ბოდბე-ხირსა 19 მარტი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;
მარტყოფი 20 მარტი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;
ისრაელი წმიდა მიწა აღდგომის დღესასწაულისათვის 21-28 აპრილი;
ფასი 1500 $; საბუთების მიღება 31 მარტამდე;
იტალია (ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის) 1700€;
საბუთების მიღება 12 აპრილამდე;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი
ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:
**„წმიდა კუთხე"** ბახტრიონის ქ. 8
ჩიტაიას ქ. 39; ლესელიძის ქ.30
**ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია,** რუსთაველის 9
**დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია,** წერეთლის 44
ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: ***92 39 78*** **(11-დან 17 სთ-მდე)**; ტელ/ფაქ: ***92 39 79***
ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**
*(879) 01 08 64;*

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***
ფთიზიატრი და პულმონოლოგი — 19 მარტს, 12.00-13.00 სთ.;
ანგიოლოგი — 19 მარტს, 13.00-14.00 სთ.;
ოფთალმოლოგი — 19 მარტს, 14.00-16.00 სთ.;
ოტორინოლარინგოლოგი — 23 მარტს, 16.30-18.00 სთ.
***კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.***
***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***
***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## სამადლობელი წერილი

გორის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო იურიდიული პირის მერეთის სკოლამდელი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი, ლელა კაპანაძე მოკრძალებულ მადლობას ვუხდი საპატრიარქოს სოფ. მერეთის ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მიმართ გაწეული დახმარებისათვის, გულისხმიერებისა და ულამაზესი დღისათვის.
საპატრიარქოს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები, უამრავი ტკბილეული და სათამაშოები დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც მოძრავი, ასევე დიდაქტიკური თამაშების მსვლელობას, რაც ხელს შეუწყობს აღსაზრდელების გონივრულ და შემეცნებით განვითარებას.
ღრმა პატივისცემით
დირექტორი ლელა კაპანაძე

## შეეწიეთ სნეულს

გორის რ-ნის სოფელ ქურთადან დევნილ ახალგაზრდას 35 წლის დავით ხერხეულიძეს, რომელიც ომის დროს დაინვალიდდა, სასწრაფოდ ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა.
„საქართველოს ბანკი"
მიმღების დასახელება: მახარაშვილი ციური
მიმღების ანგარიშის ნომერი: 191848300

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ კალიფორნიის შტატის ქართულ სამრევლოში მოღვაწე იღუმენ იოანეს (კავსაძე) გარდაეცვალა დედა – მანანა ჭანტურია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
***(გასვენება — ხუთშაბათს 14.00 სთ. ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.)***
ღმერთმა დაანესოს მისი სული საყოფელთა მართალთასა.
მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მანანას სული.



ლი ბრძანებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ". უფალი გვიხმობს, მაგრამ უნდა ვიყოთ მაშვრალნი — ე.ი. შრომისმოყვარენი და ტვირთმძიმენი და უფალი იქნება ჩვენი შემწე, იგი დაგვეხმარება, რათა ბოლომდე მივიტანოთ ის ტვირთი, ის ჯვარი, რომელიც შემოქმედმა გვიბოძა!

დალოცვილი და ბედნიერი იყავით! უფალმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ ყოველთა, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს!

დღეს დიდი დღესასწაულია და ამ დღეს მინდა მღვდელ-მონოზონი პავლე (ქებულაძე) დავნიშნო ხილიანზე, ბავშვთა სააავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და დავაჯილდოვო ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით.

დღეს ვლოცავთ თათაშვილების გვარს, რომელთაც დააწერინეს ორი ხატი. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ, ღმერთმა გაგამრავლოთ და ღმერთმა ინებოს, რომ დიდი მამულიშვილები გამოსულიყვნენ თქვენი გვარიდან!

შეგახსენებთ, რომ სამშაბათს არის ორმოც სებასტიელ მოწამეთა ხსენების დღე. თქვენ იცით, ჩვენთან, ჭრელი აბანოების მიმდებარე ტერიტორიაზე არის ამ მოწამეთა სახელობის ეკლესია. იგი უკვე მოქმედი ტაძარია და ამ დღეს იქ აღევლინება საზეიმო წირვა; 12 საათზე კი პარაკლისს მე თვითონ შევასრულებ.

ამ კვირაში ასევე დიდი დღესასწაული უწევს პარასკევს. 25 მარტს არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე. სამადლობელი პარაკლისი შესრულდება აქ, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, 12 საათზე.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### დაჯილდოება

20 მარტს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის წოდება მიანიჭა სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურს, მღვდელ-მონაზონ პავლეს (ქებულაძე).

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ილუმენი პავლე თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის (ხილიანის ქუჩა, ბავშვთა საავადმყოფო) წინამძღვრად დაინიშნა.

***

22 მარტს თბილისის წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიაში პირველშეწირულის ლიტურგია აღავლინა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი).

ლიტურგიის დასრულების შემდეგ ტაძარი მოილოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მან დალოცა ტაძარში შეკრებილი მრევლი და გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ამავე ეკლესიის მღვდელმსახური, ილუმენი ალექსი (არაჩემია).



### შემოქმედებითი საღამო „იმედის ქალაქი"

22 მარტს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში შედგა შემოქმედებითი საღამო „იმედის ქალაქი".

ღონისძიება მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-

მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საიდუმლო მიმოწერა და კადრები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის რეალობას ასახავს.ეს უნიკალური მასალა საქართველოს საპატრიარქოსა და უშიშროების არქივებში იყო დაცული. აქვე წარმოდგენილი იყო რეპრესირებულ ქართველ სასულიერო პირთა დახვრეტის ოქმები. ეს არის ისტორია, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს და ახსოვდეს.

იმავე დღეს გაიმართა პირველი საჯარო ჩვენება დოკუმენტური ფილმისა „სურამის ციხე". ნამუშევარი, რეჟიმის დაკვეთით 1922 წელს გადაიღეს და მასში წმინდა სინოდის წევრებიც ჩანან. საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია ბოლშევიკებმა სასულიერო პირების ფილმში მონაწილეობის მისაღებად მოტყუებით დაითანხმეს. მოგვიანებით ფილმი ანტირელიგიური პროპაგანდისთვის გამოიყენეს. ბოლშევიკური ძალადობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის ჩვენება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს მიეძღვნა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ამსახველი ფოტო — და ვიდეო მასალების ჩვენება ეტაპობრივად სხვა უმაღლეს სასწავლებლეშიც გაიმართება.

### კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარს ეწვია

27 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარს ეწვია.



კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მრევლი დალოცა, ჯვრის თაყვანისცემის დღე მიულოცა და ჯვრის ძალას საქართველოს გამთლიანება შეავედრა.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ყიფშიძე კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა. მრევლმა პატრიარქი ყვავილებით გააცილა.

### ხელდასხმა

13 მარტს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა ძალაათხევის წმინდა ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტრის ბერი საბა (ტრამაკიძე).

**ბერ-დიაკონი საბა** ძალათხევის წმინდა ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

20 მარტს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გელა თავაძე** და სახელად დავითი უწოდა.

**დიაკონი დავითი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

### დაჯილდოება

27 მარტს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა — ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მღვდელმსახური, **დეკანოზი ამირან ქარქაშაძე.**

### საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

***საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:***

ზედაზენი-მცხეთა 2 აპრილი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

რუისი-ურბნისი-ბრეთა 3 აპრილი; კვირა; გასვლა 8 საათზე; 14 ლარი;

იყალთო-შუამთა-ალავერდი 7 აპრილი; ხუთშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

ტიმოთესუბანი- სადგერის წმ.გიორგი-მწვანე მონასტერი 9 აპრილი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 18 ლ;

ბეთანია-მანგლისი (ხს. იოანე მანგლელი ეპისკოპოსისა) 10 აპრილი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ისრაელი წმიდა მიწა — აღდგომის დღესასწაულისათვის — 20-26 აპრილი; ფასი 1 550 $; საბუთების მიღება 4 აპრილამდე;

იტალია 2-12 მაისი; ფასი 1 800€;

საბუთების მიღება 12 აპრილამდე;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი;

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

**„წმიდა კუთხე"** ბახტრიონის ქ. 8;

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30;

**ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია,** რუსთაველის 9;

**დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია,** წერეთლის 44;

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან;

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: ***92 39 78*** **(11-დან 17 სთ-მდე)**; ტელ/ფაქ: ***92 39 79;***

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**

***(879) 01 08 64;***

მზე იყოს, ანათებდეს და ათბობდეს მას და სხვა ადამიანებს.

ყოველ ადამიანში არის ჩადებული ისეთი ძლიერი სულიერი ძალა, რომელიც არასდროს წაიშლება და ამიტომაა, რომ ნებისმიერ ცოდვილ ადამიანს შეუძლია, მოინანიოს თავისი ცოდვები, განსპეტაკდეს და წმინდანი გახდეს.

მახსენდება ბავშვების კოლონიაში ერთ-ერთი ჩემი მისვლა. ერთხელ იქ პატარა მოზვერი მივიყვანეთ, ალბათ, 1,5-2 თვისა იქნებოდა. უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს ამ ბავშვებმა! აღარ იცოდნენ, როგორ მოფერებოდნენ მას — ზოგი კოცნიდა, ზოგი გულში იხუტებდა. და იქ ერთმა კაცმა იკითხა მაშინ: ახლა რა უნდა უქნათ ამ მოზვერს? მას ეგონა, რომ ბავშვები ეტყოდნენ: უნდა დავკლათ და შევჭამოთო. მათ კი არც უფიქრიათ მისი შეჭმა, ხუმრობით მიუგეს და ჩემი აზრით, ძალიან მოსწრებულადაც: ახლა ეს მოზვერი აქ, ჩვენთან, „მალოლეტკებთან" არის, და როცა „ვზროსლებთან" გადავალთ, მასაც იქ გადავიყვანთო (ასეთი ჟარგონებით საუბრობდნენ). მთავარი ის არის, რომ არც ერთ მათგანს თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ მოზვერი დაეკლათ. საოცარია ეს სიკეთე ადამიანში! მადლობა უფალს, რომ სიკეთე არსებობს და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოვლინდება ადამიანში; მაშინ ნახავს იგი თავის გზას, იპოვის თავის ადგილს!

ღმერთმა მოგვცეს ძალა და მადლი!

ღმერთმა მოგვცეს ბრძნული გონება, რომ განვასხვავოთ, სად არის კეთილი და სად — ბოროტი! ეს განსხვავება საჭიროა, მაგრამ იმის სურვილიც უნდა გვქონდეს, რომ სიკეთეს მივსდიოთ.

ღმერთმა გახარებული და ბედნიერი გამყოფოთ! და ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და მთელ მსოფლიოს!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

*მოამზადა მარიამ გაგუამ*

# საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ამა წლის 4 თებერვალს საინფორმაციო ინტერნეტ-სააგენტო „Apsny Online"-მა ინტერნეტის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთში ახალი ათონის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრის წინამძღვრად სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა კირილემ დანიშნა იღუმენი ეფრემი (ვინოგრადოვი).

ამასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო დაუკავშირდა რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილებას და მოითხოვა განმარტებები. რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილარიონმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან საუბარში უარყო ეს ფაქტი და აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაცია რეალობას საერთოდ არ შეესაბამება.

*05.04.11*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### საქველმოქმედო აქცია

4-16 აპრილის ჩათვლით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოეწყობა ქართველი თანამედროვე მხატვრის — დავით ბაძალუას ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.

შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხება სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინების და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში.

ნამუშევრები ასევე შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.badzagua.com

პროექტის მენეჯერები: რუსუდან სერგია — ტელ.: 851 40 00 46; დავით ბაძალუა — ტელ.: 899 24 20 52.

### ხელდასხმა

3 აპრილს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა მღვდლად ამავე ტაძრის დიაკონ გიორგი ალიაშვილს.



### ბერად აღკვეცა

2 აპრილს ზარზმის მამათა მონასტერში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) ბერად აღკვეცა მორჩილი კახაბერ თავაძე და სახელად აბო უწოდა.

გიონში მცხოვრები ბავშვები და მოზარდებიც დალოცა.

დასასრულს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ქადაგებით მიმართა მრევლს; მომავალ თაობას ნარკომანიის სავალალო შედეგებზე ესაუბრა.

ამიერიდან ყოველ ორშაბათს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ბავშვებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებული სიმრავლე იქნება, რადგან მათ უწმინდესი და უნეტარესი ილია II დალოცავს.

**9 აპრილის მოსაგონებლად**

22 წლის წინ პარლამენტის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის წამებულთა პატივსაცემად 9 აპრილის მემორიალთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი დავით ბაქრაძე მივიდნენ. კათოლიკოს-პატრიარქმა მემორიალთან 9 აპრილს მოწყვეტილთა სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა.

**ტაძრის საძირკვლის კურთხევა**

5 აპრილს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თემქის დასახლებაში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის საძირკველი აკურთხა.

**სემინარიისა და აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა ქარვასლაში**

8 აპრილს სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტებმა ქარვასლაში საკუთარი ნამუშევრები გამოფინეს. ხატწერის, თექის, ფარდაგებისა და ხალიჩაზე მუშაობის ოსტატობა მათ სასწავლებლებთან არსებულ სახელოსნოებში შეისწავლეს. ექსპოზიციაში ოცამდე სტუდენტი მონაწილეობდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, პირველად, ჯერ კიდევ 27 წლის წინ, სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლში შეიქმნა ქარგვის ჯგუფი, რომელსაც ქართული ნაქარგობების აღდგენა ევალებოდა. დღეს უკვე სემინარიაში ხელოვნების თითქმის ყველა ტრადიციული დარგი შეისწავლება. აქ 1994 წლიდან შეიქმნა და ფუნქციონირებს თექის, ფარდაგის, ხალიჩისა და ბატიკის სახელოსნო, სადაც შექმნილი ნამუშევრები, გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი. სტუდენტების გამოფენა ქარვასლაში ორ კვირას გასტანს.

**საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა**

10 აპრილს — 15:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიხსნა ქართველი თანამედროვე მხატვრის დავით ბაძალუას ნამუშევრების გამოფენა.

მომდევნო 1 კვირის განმავლობაში (16 აპრილის ჩათვლით) გაიმართება მხატვრის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.

შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხება ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინების და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში.

ნამუშევრები ასევე შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.badzagua.com

პროექტის მენეჯერები: რუსიკო სერგია — ტელ.: 851 40 00 46; დავით ბაძალუა — ტელ.: 899 24 20 52.

**ხელდასხმა**

27 მარტს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **ბერ-დიაკონ იონას (მაისურაძე).**

**მღვდელ-მონაზონი იონა** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

27 მარტს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი **ვახტანგ ძებნიაური.**

**დიაკონი ვახტანგი** ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

31 მარტს მარტყოფის ყოველთა წმინდათა სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **ნაზარი ფალავანდიშვილი** და სახელად **ლუკა** უწოდა.

* * *

2 აპრილს მარტყოფის ყოველთა წმინდათა სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის **ბერი ლონგინოზი.**

**ბერ-დიაკონი ლონგინოზი** მარტყოფის ყოველთა წმინდათა სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

3 აპრილს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **გიორგი ჩანტლაძე.**

**დიაკონი გიორგი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

3 აპრილს მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტი **დავით წულეისკირი.**

**დიაკონი დავითი** ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

7 აპრილს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი **ლაზარე დულუზაური.**

**დიაკონი ლაზარე** ვარკეთილის ზემო პლატოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

7 აპრილს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ პახუმს (ბუხსიანიძე).**

**დაჯილდოება**

7 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება, რომელიც მიემგზავრება ავღანეთში ქართულ საჯარისო ნაწილებთან ერთად:

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი გიორგი ბერაია, მღვდელი ნაზარი გვენეტაძე და მღვდელი ლონგინოზ მანაგაძე;

ამავე დღეს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და იღუმენიას წოდება მიენიჭა ჭყონდიდის ეპარქიის, სოფელ სუჯუნის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესეს, მონაზონ ბარბარეს (ქობალია).

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ „საპატრიარქოს უწყებანის" თანამშრომელს ვალერიან ჯუღელს გარდაეცვალა მამიდა **ლამარა ჯუღელი-ბუხსიანიძისა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლამარას სული.

# ლაზარეს შაბათი

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით მაცხოვრის ვნების დღეებს და ამ ზღურბლზე ქრისტეს მეგობრის — ლაზარესა და მისი მკვდრეთით აღდგომის ხსენება სიხარულის მომნიჭებელი იმედით გვავსებს: **უფალი სიკვდილზე ძლიერია, უფალმა სიკვდილზე გაიმარჯვა!**

ადამიანი ღვთის მეგობრადაა მოწოდებული და ამ მეგობრობას განამტკიცებს ჩვენი ნათლობა. ოდესღაც ყოველ ჩვენგანში ცხოვრობდა ქრისტეს მეგობარი, ღვთის მეგობარი და იმედი იმისა, რომ ეს მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, გაიზრდებოდა, გაბრწყინდებოდა... ზოგჯერ ეს ხდებოდა ძალიან ადრე, ჩვენს ბავშვობაში, ახალგაზრდობის წლებში ან მოგვიანებით...



და შემდეგ, ცხოვრების განმავლობაში, როცა ნელ-ნელა დაჭკნა ჩვენი ცხოვრება ყვავილის მსგავსად, დაუძლურდა იმედი, სიხარული, სიწმინდე — დაუძლურდა და დასუსტდა ეს ძალაც ღვთის მეგობრობისა; თუმცა, ხანდახან, მაინც ვგრძნობთ, რომ ჩვენში, როგორც საფლავში, ვიღაც დევს — ვერ ვიტყვით, რომ „განისვენებს", სწორედაც რომ დევს — და ეს არის საშინელი, მძლეველი სიკვდილი, — ოთხი დღის მკვდარი მეგობარი ქრისტესი, ის, რომელიც მოკვდა, რომლის საფლავის მიკარება დებსაც კი აძრწუნებთ, ვინაიდან უკვე გახრწნილია და „ყროლის" ...

და ამ მეგობარზე რა ხშირად ჭმუნავს ჩვენი გული, რა ხშირად გლოვობს ჩვენში მარიამი და მართა, ანუ ის მხარე ჩვენი სულისა, რომელიც, მარიამის მსგავსად, თავისი მოწოდებით, თავისი ძალითა და შესაძლებლობებით შემძლეა დადუმდეს უფლის ფეხებთან, მოისმინოს ყოველი მისი სიტყვა, განცხოველდეს და შეძრწუნდეს უფლის სიცოცხლიმომნიჭებელი სიტყვებით და ის მხარე ჩვენი სულისა, რომელიც, მართას მსგავსად, შემძლეა სიმართლითა და სიწმინდით განახორციელოს ღვთის საქმე, იყოს არა მშფოთვარე მსახური, რომელიც **„მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათვის"** — არამედ შრომისმოყვარე მეგობარი, რომელიც საკუთარი ხელებით, სიყვარულით, მზრუნველობით, ყოველგვარ ყოფითსა და ჩვეულებრივს უდიდეს ადამიანურ და ღვთაებრივ სიყვარულად გარდაქმნის. სწორედ ეს ორი ძალა, ძალა ჭვრეტისა (მსგავსად მარიამისა) და ძალა ქმედებისა (მსგავსად მართასი), გვაგლოვებს იმაზე, რომ მოკვდა ქრისტეს მეგობარი ლაზარე.

და აი, გვიახლოვდება მაცხოვარი და ჩვენ მზად ვართ, მართას მსგავსად, შევძახოთ: უფალო, რატომ არ იყავი აქ იმ წუთს, როცა მიმდინარეობდა ბრძოლა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, როცა ლაზარე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და შეიძლებოდა მისი გადარჩენა! **უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაი იგი ჩემი** (იოან. 11, 21)... და ვისმენთ უფლის პასუხს: გწამს, რომ იგი აღდგება? და ჩვენც, მართას მსგავსად, მზად ვართ ვთქვათ: დიახ, უფალო, **უკანაისკნელსა დღესა** (იოან. 11, 24).

მაგრამ, როცა საუბრობდა მართა, ის წარმოთქვამდა ამ სიტყვებს საოცარი იმედით: **მრწამს, უფალო, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაი, მომავალი სოფლად** (იოან. 11, 27) და რომ ლაზარე აღდგება **უკანაისკნელსა დღესა**. ჩვენ კი მის ამ სიტყვებს მწუხარედ, მოწყენით ვიმეორებთ: დიახ, აღდგება უკანასკნელ დღეს, როცა უკვე დასრულდება ამქვეყნიური ცხოვრება, როცა გვიან იქნება ღვაწლისთვის, იმისათვის, რომ იცხოვრო რწმენით, იმედით და გაამრავლო სიყვარული ...

მაგრამ უფალი იმასვე გვეუბნება, რასაც მას; ესაუბრება ჩვენს უიმედობას ისე, როგორც მართას სრულ სასოებას: **მე ვარ აღდგომაი და ცხოვრებაი, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე** (იოან. 11, 25),

და აქ სასურველია გახსენება კიდევ ერთისა: მართამ არ იცოდა, რომ სამი დღით ადრე ქრისტემ თავის მოწაფეებს უთხრა: **ლაზარე მოკუდა** (იოან. 11, 14), არ იცოდა, რომ მაცხოვარმა სიკვდილს მისცა თავისი მეგობარი, რათა აღედგინა მკვდრეთით, მაგრამ მართა უკვე მდიდარი იყო ისეთი გამოცდილებით, რომ

ნევროპათოლოგი, ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 8 მაისს, 12.00-14.00 სთ.;

დერმატოლოგი — 10 მაისს, 15.00-17.00 სთ.;

**კარდიოლოგი — ყოველდღე, 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***

***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

***საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ წმინდა ადგილების მოსალოცად და გთავაზობთ შემდეგ მარშრუტებს:***

სარკის წმ. გიორგი (წმ. გიორგის ხსენება) — 6 მაისი; პარასკევი; გასვლა 8 სთ; ფასი 17 ლ;

იყალთო-შუამთა-ალავერდი — 7 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

სამთავისი, ატენის სიონი, უფლისციხე — 8 მაისი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 16 ლ;

ბეთანია-მანგლისი (თამარობა) — 14 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ბოლნისი-ცურტავი-წუღრუღაშენი — 15 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

ისრაელი წმიდა მიწა — სულთმოფენობის დღესასწაულისათვის, 10-17 ივნისი;

ფასი 1 500-1600$; საბუთების მიღება 30 მაისამდე;

**მომლოცველებს მოემსახურება გიდი**

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

**„წმიდა კუთხე"**, ბახტრიონის ქ. 8.

ჩიტაიას ქ. 39, ლესელიძის ქ.30.

**ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია**, რუსთაველის 9.

**დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია**, წერეთლის 44.

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: ***92 39 78*** **(11-დან 17 სთ-მდე)**; ტელ/ფაქ: ***92 39 79***

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**

***(879) 01 08 64; (877) 44 30 10.***

## ხელდასხმა

3 აპრილს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი **ბერი სვიმონი (ჯიბლაძე).**

**ბერ-დიაკონი სვიმონი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

10 აპრილს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი **ბერი ბასილი (კორტავა).**

**ბერ-დიაკონი ბასილი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

17 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ ნოეს (გოგიტაური).**

* * *

23 აპრილს ხონის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ანტონ ვაშაკიძეს.**

* * *

26 აპრილს მარტყოფის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატის სახელობის დედათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ფრიდონ დილებაშვილს.**

**მღვდელი ფრიდონი** მარტყოფის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

1 მაისს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ ნიკოლოზს (ჯაფარიძე)**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის **ბერი პავლე (ტეტელოშვილი).**

## ალკვეცა

7 აპრილს ფოკის წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტერში ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონმა (ფურცელაძე) ბერად აღკვეცა მორჩილი **არჩილ ხელისუფალი** და სახელად **ფოკა** უწოდა.

* * *

16 აპრილს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მონაზვნად ალკვეცა ამავე მონასტრის **სამონაზვნე ანა გალოგრე** და სახელად **ანტონინა** უწოდა.

ამავე დღეს მიტროპოლიტმა იოსებმა სამონაზვნეებად აკურთხა ერკეთის დედათა მონასტრის მორჩილები:

**მარიამ გორგოშიძე** — სახელად ენოდა **მარიამი.**

**ბარბარე ჯიშკარიანი** — სახელად ენოდა **ბარბარე.**

**თეოდორა შევარდნაძე** — სახელად ენოდა **თეოდორა.**

**თეონა ანანიძე** — სახელად ენოდა **თეოდორა.**

ამავე დღეს მორჩილის კაბით შეიმოსნენ: ოზურგეთის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წევრი **კესარია ჭანია;**

ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წევრები: **ხათუნა მეტრეველი, თეონა ყარეჯიშვილი, ელენე რამიშვილი** და **თამარ გელანტია.**

* * *

18 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ბერად აღკვეცა ექადიის მამათა მონასტრის მორჩილი **პაატა გოგეშვილი** და სახელად **პეტრე** უწოდა.

***

29 აპრილს მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერში არიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) მონაზვნად აღკვეცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტრის წევრები: **სამონაზვნე დარია ნიკოლიშვილი** (სახელად ეწოდა **სარრა**) და **სამონაზვნე ილარია ჯაჭვლიანი** (სახელად ეწოდა **რაქილი**).

***

1 მაისს მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერში არიმანდრიტმა საბამ (კუჭავა) ბერად აღკვეცა **დავით ჩანქსელიანი** და სახელად **ლეონი** უწოდა.

**ბერმონაზონი ლეონი** კრწანისის წმინდა საბა განწმედელის სახელობის მონასტრის საძმოში დაინიშნა.

## დაჯილდოება

16 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დეკანოზის წოდება მიანიჭა და გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა დილმის მე-2 ბავშვთა საავადმყოფოში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი შალვა როსტიაშვილი**.

* * *

17 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტრით ტარების უფლებით დააჯილდოვა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, **დეკანოზი დავით სალაძე**.

* * *

26 აპრილს მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერში სადღესასწაულო წირვა აღავლინა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა). მსახურების შემდეგ ტაძარი მოილოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მან გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი და დალოცა მრევლი. ქადაგების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი გიორგი (მიქაძე);**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — აღდგომის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ლვინიაშვილი),** წმინდა მარიამ მეგვიპტელის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ამბროსი (ხუციშვილი),** წმინდა ათანასე ათონელის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ათანასე (ბუაძე),** კარსანის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი თეოდოსი (ზარიძე)** და სულთმოფენობის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ანტონი (ნოზაძე);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მახათის მთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის მღვდელმსახური, **მღვდელი იაკობ მახნიაშვილი.**

* * *

1 მაისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — წალკის რაიონის სოფელ ოლიანკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრები: **ილუმენი ილია (თოლორაია)** და **ილუმენი შიო (კვარაცხელია);**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **მღვდელ-მონაზონი ღვთისავარი (გობეჯიშვილი);**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — წალკის რაიონის სოფელ ოლიანკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრები: **მღვდელ-მონაზონი საბა (ქირია), მღვდელ-მონაზონი იოანე (არდია), მღვდელ-მონაზონი ანდრია (ღურწკაია), მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (გვარლიანი);**

გამშვენებული ჯვრით — დილმის №2 ბავშვთა საავადმყოფოში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი ტარიელ კერესელიძე;**

გამშვენებული ჯვრით — წალკის რაიონის სოფელ ოლიანკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენია ნინო (თავბერიძე).**

## სამძიმარი



საქართველოს საპატრიარქო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 12 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის ერთ-ერთი უხუცესი მღვდელმსახური, ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი რევაზ მოსეშვილი.**

17 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე დეკანოზ რევაზს მღვდლად კურთხევიდან 33 წელი უსრულდებოდა.

საპატრიარქოს პრესცენტრი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული დეკანოზ რევაზის სული.

***

ნითელ პარასკევს, სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში აღესრულა უხუცესი მონაზონი ნინო

ერთობის გამორკვევამდე) ჭყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ. ჭყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში შევიდნენ აგრეთვე სოხუმის ეპარქიის სხვა ქართული სამრევლოები. რუსული სამრევლოები და თვით ეპისკოპოსი სერგიც სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით საეკლესიო მმართველობას ექვემდებარებოდნენ. ამრიგად, სოხუმის ეპარქია, რომელიც „აფხაზური ეკლესიის" საფუძველი უნდა ყოფილიყო, რამდენიმე ნაწილად გაიყო. მისი ერთიანობის აღდგენა სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე 1919წლის 7 ოქტომბერს მოხერხდა, როდესაც საეპარქიო კრებამ დედაეკლესიასთან გაერთიანების, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის შექმნის და პირველ მღვდელმთავრად გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის, ილორის მკვიდრის, მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) არჩევის შესახებ ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. ამის შემდეგ აფხაზთა „საეკლესიო ყრილობის" გადაწყვეტილებები დავიწყებას მიეცა და არავის გახსენებია მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, როცა კვლავ აგორდა სეპარატისტული მოძრაობა და გააქტიურდა იმპერიული ცენტრის ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს, მისი ეკლესიის წინააღმდეგ.

**პროფესორი**
**ჯემალ გამახარია**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სავანე სადღესასწაულოდ იკურთხება

12 მაისს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ქ. თბილისში, მახათას მთაზე საზეიმოდ იკურთხება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საძირკველი. ამ დღისთვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეწვია დელეგაციები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, მათ შორის — მსოფლიო საპატრიარქოდან: კრეტის მთავარეპისკოპოსი ირინეოსი და იკონიის მიტროპოლიტი თეოლიპტე, ათონის მთიდან: ოთხი ბერი ზოგრაფის მონასტრიდან, რუსეთის საპატრიარქოდან: დიველვოსა და ზაგორსკის ლავრიდან, უკრაინის ეკლესიიდან — კიევ-პეჩორის ლავრიდან, პოლონეთის ეკლესიის დელეგაცია და სხვ.

სტუმრები თბილისს **10 მაისს** დილით ეწვივნენ. იმავე დღეს, დილის 11 საათზე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძართან არსებულ საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შედგა კონფერენცია თემაზე: „ქართველი ათონელები და ქრისტიანული ცივილიზაცია". სიმპოზიუმი მიეძღვნა წმინდა გიორგი მთაწმინდელის 1000 წლისთავს. შემდეგ კონფერენცია გაგრძელდა ეროვნული მუზეუმის შენობაში.

**11 მაისს** ეროვნულ მუზეუმში შედგება ზემოაღნიშნული სამეცნიერო კონფერენციის მეორე დასკვნითი ნაწილი.

იმავე საღამოს სტუმრებს საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**12 მაისს** ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ წმინდა ანდრია პირველწოდებულის დღესასწაულის საზეიმო წირვაში; იმავე დღეს, 18.00 საათზე, მახათას მთაზე დაესწრებიან ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საძირკვლის საზეიმო კურთხევას.

### სამონაზვნედ კურთხევა

16 აპრილს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) სამონაზვნედ აკურთხა ოზურგეთის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი მაგდა ჭკუასელი და სახელად მართა უწოდა.

### შეცდომის გასწორება:

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" №17-ში რუბრიკა, „ქრონიკა-ინფორმაციაში" გაიპარა შეცდომა — მორჩილი კესარია ჭანია ირიცხება ერკეთის დედათა მონასტრის კრებულში, ხოლო მორჩილ თეონა ყარეჯიშვილის ნაცვლად უნდა ეწეროს — თეონა ყარეგიშვილი.

გაზეთის რედაქცია შენდობას ითხოვს ერკეთის მონასტრის კრებულისაგან.

### ხელდასხმა

5 მაისს წეროვნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა რევაზ რუხაძე და სახელად ლუკა უწოდა.

* * *

6 მაისს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიასთან არსებული ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ალექსანდრე დავითაშვილი.

დიაკონი ალექსანდრე საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

### თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს სტუდენტთა მიღებას

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II–ის ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 2011-2012 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სასწავლებლებში:*

1. თბილისის სასულიერო აკადემია — ღვთისმეტყვე-

## საბავშვო წიგნის II ფესტივალი

2011 წლის 22 მაისს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება საბავშვო წიგნის II ფესტივალი, რომელიც დაიწყება დილის 10:00 საათიდან და გაგრძელდება 20:00- მდე. გამოიფინება და გაიყიდება სხვადასხვა გამომცემლობების საბავშვო წიგნები.




ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებენ გამომცემლობები: „ანბანი", „ელფი", „დილა", „ბაკმი", „შემეცნება", „დიოგენე", „სეზანი", „კლიო", „პეგასი", შპს ქართული ბიოგრაფიული ცენტრი", „გორგა" და სხვა.

პარალელურად გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მგალობელთა გუნდები და ქართული ფოლკლორული ანსამბლები. ასევე მოეწყობა ძველი ქართული საბავშვო თამაშების ჩვენება.

**საკონფერენციო დარბაზში დაჯილდოება მოხდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**

*საუკეთესო ზღაპრების კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო შემეცნებითი წიგნი;*
*საუკეთესო საბავშვო გამომცემლობა;*
*საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო წიგნი ხელოვნებაზე;*
*საუკეთესო საბავშვო ილუსტრაციები;*
*კლასიკოსები საბავშვო ლიტერატურაში.*

**ნომინაციები გამოსაცემი წიგნებისათვის:**

*საუკეთესო საბავშვო წიგნის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო შემეცნებითი წიგნის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებულის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო ილუსტრაციების ავტორი.*

დაჯილდოების ცერემონიას დაესწრება უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

## მოწყალების ცენტრი აცხადებს მიღებას

ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი აცხადებს მიღებას 2011-2012 სასწავლო წლისთვის, მოწყალების დების სასწავლებელში სპეციალობაზე: მოწყალების და - ექთნის თანაშემწე.

საბუთების მიღება 23 მაისიდან 23 ივნისამდე

გასაუბრება ჩატარდება 20 ივლისს

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სასწავლებლის კოორდინატორს.

საკონტაქტო ტელეფონი: 877-22-44-69 სასწავლებლის სასწავლო კოორდინატორი

მისამართი: ქ.თბილისი ურბნისის ქ. 7

მოწყალების დების სასწავლებლის ადმინისტრაცია.

## აღკვეცა

***30 მარტს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერში ჩხოროწყუსა და სენაკის მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მონაზვნად აღკვეცა:***

სამონაზვნე მაია (კვესაძე) და უწოდა მონაზონი მარინე,

სამონაზვნე მაკრინე (ყურაშვილი) — მონაზონი კასიანა,

სამონაზვნე პარასკევა (გოცირიძე) — მონაზონი ნინო;

სამონაზვნედ აკურთხა ფერისცვალების დედათა მონასტრის მორჩილები:

მორჩილი რებეკა კვერღელიძე და უწოდა სამონაზვნე რებეკა,

მორჩილი ფოტინე ხიდეშელი — სამონაზვნე ფოტინე,

მორჩილი ნისიმე ხურციძე — სამონაზვნე ნისიმე,

მორჩილი ფილოთეა პეტრიაშვილი — სამონაზვნე ფილოთეა;

**ბედიანის მონასტრის მორჩილები:**

მორჩილი ესთერი გელენიძე — სამონაზვნე ესთერი, მორჩილი დოროთეა ჭოხონელიძე — სამონაზვნე დოროთეა, მორჩილად აკურთხა ფერისცვალების მონასტრიდან ლია მანჩხაშვილი და უწოდა მორჩილი ლია.

**ბედიანის მონასტრიდან მორჩილად აკურთხა:**

ნანა ჭრიკიშვილი — მორჩილი ნანა,

ნელი ძაგიშვილი მორჩილი ნელი.

## დაჯილდოება

15 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის მღვდელმსახური, **ილუმენი ნიკოლოზი (კალანდაძე);**

გამშვენებული ჯვრით — დიღმის ყოველთა ქართველთა წმინდანთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი კახაბერ ასათიანი;**

ოქროს ჯვრითა და ილუმენიას წოდებით — ბედიანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესე, **მონაზონი ანტონინა (რუხაძე).**

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ფთიზიატრი — 21 მაისს, 12.00-13.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 21 მაისს, 12.00-13.00 სთ.;

დება) გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს იცხოვროს სავსე, ნაყოფიერი ცხოვრებით, ვიდრე მას, ვინც მართლმადიდებლობაში ისე მოვიდა, რომ მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ კულტურასა და ისტორიას არ გაცნობია და მხოლოდ თანამედროვე პოპულარული კულტურით საზრდოობს.

ამრიგად, ჩვენს ბრძოლაში ამასოფლის სულის წინააღმდეგ ყოველივე საუკეთესო უნდა გამოვიყენოთ. და თუკი გვეყოფა სიბრძნე, დავინახოთ, რომ ეს საუკეთესო ქვეყანად უფალი და მართლმადიდებლური მოძღვრებაა, მაშინ ქრისტიანულ აღზრდაშიც სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

*თარგმნა*
*მარიამ გაგუამ*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### საბავშვო წიგნის II ფესტივალი

22 მაისს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოეწყო საბავშვო წიგნის II ფესტივალი. გამოიფინა და გაიყიდა სხვადასხვა გამომცემლობების საბავშვო წიგნები.




ფესტივალში მონაწილეობდნენ გამომცემლობები: „ანბანი“, „ელფი“, „დილა“, „ბაკმი“, „შემეცნება“, „დიოგენე“, „სეზანი“, „კლიო“, „პეგასი“, შპს „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, „გორგა“ და სხვა.

დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დალოცა ფესტივალის მონაწილენი და აღნიშნა: „წიგნი, მართლაც ჩვენი უპირველესი მეგობარი უნდა იყოს. ვფიქრობ, უფრო ღრმად უნდა შევხედოთ ამ საკითხს. უნდა მოვიშველიოთ ფსიქოლოგები, მხატვრები. ბავშვებში აუცილებლად უნდა შეიქმნას განწყობა წიგნისადმი. ამისათვის გამოგვადგება უზნაძის „განწყობის თეორია“. ძალიან მნიშვნელოვანია მხატვრების თემაც, - ყველას არ შეუძლია ბავშვისთვის ხატოს. იდი მადლობა ყველას, ვინც იღწვის ამ დიდი საქმისთვის. დალოცვილი იყავით თქვენ და საქართველო, ამინ.“

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელთა გუნდებმა და ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა; მოეწყო ძველი ქართული საბავშვო თამაშების ჩვენება.

დასასრულ, საკონფერენციო დარბაზში შედგა დაჯილდოება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

*საუკეთესო ზღაპრების კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო შემეცნებითი წიგნი;*
*საუკეთესო საბავშვო გამომცემლობა;*
*საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული;*
*საუკეთესო საბავშვო წიგნი ხელოვნებაზე;*
*საუკეთესო საბავშვო ილუსტრაციები;*
*კლასიკოსები საბავშვო ლიტერატურაში.*

ნომინაციები გამოსაცემი წიგნებისათვის:

*საუკეთესო საბავშვო წიგნის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო შემეცნებითი წიგნის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებულის ავტორი;*
*საუკეთესო საბავშვო ილუსტრაციების ავტორი.*

### ლევილის მამული ქართულ სახელმწიფოს გადაეცა

23 მაისს ლევილის შატოში შედგა ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებს ლევილის მამულის გადაცემას საქართველოს სახელმწიფოსთვის. აღნიშნული მემორანდუმის ხელმოწერით დაიწყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების შესრულება, რომელიც ლევილის უძრავი ქონების საქართველოს სახელმწიფოსთვის გადაცემას ითვალისწინებდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა პაპუნა დავითაიამ და ირენ ციციშვილმა. ხელმოწერას დაესწრო დასავლეთ



ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში ბატონი მამუკა კუდავა, ლევილის მერი და სხვა ოფიციალური პირები, ქართული დიასპორის წევრები.

### ხელდასხმა

3 მაისს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტი **სევერიან კვინწია** და სახელად სერაფიმე უწოდა.

**დიაკონი სერაფიმე** სოფელ გლდანულას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

15 მაისს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის **დიაკონ ლუკა ბუჩუკურს**.

**მღვდელი ლუკა** ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

15 მაისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი **გურამ ჭარელაშვილი.**

**დიაკონი გურამი** ჩიტაძის ქუჩაზე არსებულ წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

21 მაისს თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ირაკლი ახალაძეს.**

**მღვდელი ირაკლი** თბილისის კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

## დაჯილდოება

22 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის (ლურჯი მონასტერი) მღვდელმსახურს, **მღვდელ გიორგი გუგუშვილს.**

## მოწყალების ცენტრი აცხადებს მიღებას

ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი აცხადებს მიღებას 2011-2012 სასწავლო წლისთვის, მოწყალების დების სასწავლებელში სპეციალობაზე: მოწყალების და - ექთნის თანაშემწე.

საბუთების მიღება 23 მაისიდან 23 ივნისამდე

გასაუბრება ჩატარდება 20 ივლისს;

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სასწავლებლის კოორდინატორს.

საკონტაქტო ტელეფონი — 877-22-44-69 — სასწავლებლის სასწავლო კოორდინატორი.

მისამართი ქ.თბილისი ურბნისის ქ. 7,

მოწყალების დების სასწავლებლის ადმინისტრაცია.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი — 28 მაისს, 13.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 30 მაისს, 16.00-17.00 სთ;

რევმატოლოგი — 31 მაისს 15.00-17.00 სთ;

ოტორინოლარინგოლოგი — 1 ივნისს, 13.00-18.00 სთ.

**კარდიოლოგი — ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.**

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***

***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## შემეცნებითი საუბრები საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

***საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.***

**ხუთშაბათი — 26.05.11. — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.**

თემა: „1918 წლის 26 მაისი."

საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ბახტაძე **(18:00 სთ.).**

**პარასკევი — 27.05.11. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.**

თემა: „ასაკობრივი პრობლემები ახალგაზრდებში"

საუბარს წარმართავს წმ. სამების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია **(18:00 სთ.).**

**კვირა — 29.05.11 — ფილმის ჩვენება. თამარ თაგვაძის და ირაკლი რობაქიძის ფილმი: „ნიკო ნიკოლაძე". (15:00 სთ.)**

**ორშაბათი — 30.05.11. — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.**

თემა: „მრწამსის და შვიდი საიდუმლოს განმარტება"

საუბარს წარმართავს წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი იაკობ აბაშიძე **(18:00 სთ.).**

**ოთხშაბათი — 1.06.11.** — საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო — პოეტ ზოია ვაშაკიძის შემოქმედებითი საღამო **(19:00 სთ.).**

**ხუთშაბათი — 2.06.11. — ამაღლების დღესასწაულის გამო, შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.**

**პარასკევი — 3.06.11. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.**

თემა: „დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის შესახებ".

საუბარს წარმართავს ფსიქოლოგი მარიამ ბურჭულაძე **(18:00 სთ.).**

**კვირა — 5.06.11. — ფილმის ჩვენება.**

**თამარ თაგვაძის და ირაკლი რობაქიძის ფილმი: „კავსაძეები" (15:00 სთ.).**

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ მუხიანის წმინდა მირიან და ნანას სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სერაფიმეს (კიკონიშვილი) გარდაეცვალა დედა, ლამარა კიკონიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული ლამარას სული.

## დაჯილდოება

1 ივნისს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები:

არქიმანდრიტის წოდებით — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (ძნელაძის ქუჩაზე მდებარე სამშობიარო), **იღუმენი ეფრემი (კეზევაძე);**

წეროვანის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი ექვთიმე (ბუსკაძე).**

***

2 ივნისს საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები:

არქიმანდრიტის წოდებით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის მღვდელმსახური, **იღუმენი ანდრონიკე (წიქარიშვილი);**

მიტრით — საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი;**

გამშვენებული ჯვრით — ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი და საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი ჯიბუტი;** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიის (სამედიცინო უნივერსიტეტის ეზო) მღვდელმსახური, **დეკანოზი ანტონ გელაშვილი,** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიის (სამედიცინო უნივერსიტეტის ეზო) მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი წურწუმია;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი გიორგი გიუტაშვილი.**

***

2 ივნისს საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში წირვის აღსრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სოლოლაკში მდებარე მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარი მოილოცა, მრევლს დღესასწაული მიულოცა; ამ ეკლესიაში მოღვაწე **მღვდელი ლევან ჯანაშია** ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა.

***

5 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

წმინდა გიორგის ოქროს ორდენით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, **არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი);**

გამშვენებული ჯვრით — ვაზისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი ჭილაშვილი;**

გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მარტყოფის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი გაბრიელ ცხვარიაშვილი;** ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი არჩილ ხაჩიძე.**

***

12 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ზურაბ ხაჩიძე.**

## ხელდასხმა

1 ივნისს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ბენედიქტე გოლუბიანს.**

***

2 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **შალვა ჯაჯანიძე.**

**დიაკონი შალვა** სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

4 ივნისს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ გიორგი ბალაშვილს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა **გიორგი ალიბეგაშვილი** და სახელად **მირიანი** უწოდა.

**მღვდელი გიორგი** და **დიაკონი მირიანი** სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში იმსახურებენ.

***

5 ივნისს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ თომა შენგელიას.**

**მღვდელი თომა** საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

13 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში (საჯარო ბიბლიოთეკის უკან) გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკვონ პავლე შავიძეს.**

## ტაძრის კურთხევა

11 ივნისს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა თბილისში, სანერგე-სამეურნეო დასახლებაში მდებარე წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი პანტელეიმონ წულაძე.

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტ ნიკოლოზს (ფაჩუაშვილი) გარდაეცვალა მამა გიგი ფაჩუაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული გივის სული.

* * *

საპატრიარქოს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახ. გიმნაზიის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი რუსუდან ზენაიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული რუსუდანის სული.

## ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში

სკოლა-ლიცეუმი არის საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ლიცეუმში ფუნქციონირებს: მუსიკალური სტუდია; 6 წლამდე ასაკის მოსამზადებელი განყოფილება; კომპიუტერული ცენტრი Word, Excel, Epps, CorelDRAW, Internet; უცხო ენების შემსწავლელი კურსები: ინგლისური – OXFORD COURSE, გერმანული, რუსული. გაიცემა სერტიფიკატი. ლიცეუმში ასევე ისწავლება ქართული ენა უცხოელებისათვის. ბავშვებისათვის სასურველია მოძღვრის რეკომენდაცია. მისამართი: პეკინის 34 / ყაზბეგის გამზ. 2, 1 სართული. ტელ. 514037 (სკოლა – ლიცეუმი); 899423011; 361258; 380124; 895213032; 624355; 899632202; 647591; 895776636; www.bagrationi_liceumi.ge; info@bagrationi-liceumi.ge

## დაიწყო სამრეკლოს მშენებლობა სოფელ დიღომში

5 ივნისს სოფელ დიღმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ეზოში ამავე ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე ჩიგოგიძემ სამრეკლოს საძირკველი აკურთხა. სამრეკლოს საძირკვლის კურთხევას მრავალრიცხოვანი მრევლი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. სამრეკლოსთან ერთად მომავალში დაგეგმილია კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსება, რომელშიც ბავშვები ხატწერას, გალობას, ხელსაქმეს, ხალხურ სიმღერებს და სხვა საგნებს შეისწავლიან.

## შეეწიეთ სნეულ პატარას

2 წლინახევრის ილია იმერლიშვილს ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.



ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი მანკით — ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზით. თითქმის 2 წელია, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში : **სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“; ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502**

**მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი.**

**მიმღების ანგარიშის ნომერი: 470000000270473600**

**მაგთის და ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომერზე — 700861 ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).**

**დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერ**ნეტსაიტზე — www.support-ilia.com **საკონტაქტო ტელეფონები : 23-10-86 ; 874-555-277 — ბავშვის დედა ნაზი ამონაშვილი.**

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი — 17 ივნისს, 15.00-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 18 ივნისს, 12.00-13.00 სთ.;

ფტიზიატრი — 18 ივნისს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 18 ივნისს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 18 ივნისს, 15.30-17.00 სთ.;

**ხელდასხმა**

12 ივნისს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ბერ-დიაკონ დემეტრეს (თეთრუაშვილი).

მღვდელ-მონაზონი დემეტრე კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

**საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში არდადეგები გამოცხადდა. შემეცნებითი საუბრები განახლდება სექტემბრიდან.

**ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში**

სკოლა-ლიცეუმი არის საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ლიცეუმში ფუნქციონირებს: მუსიკალური სტუდია; 6 წლამდე ასაკის მოსამზადებელი განყოფილება; კომპიუტერული ცენტრი Word, Excel, Epps, CorelDRAW, Internet; უცხოური ენების შემსწავლელი კურსები: ინგლისური – OXFORD COURSE, გერმანული, რუსული. გაიცემა სერტიფიკატი. ლიცეუმში ასევე ისწავლება ქართული ენა უცხოელებისათვის. ბავშვებისათვის სასურველია მოძღვრის რეკომენდაცია. მისამართი: პეკინის 34 / ყაზბეგის გამზ. 2, 1 სართული. ტელ. 2514037 (სკოლა – ლიცეუმი); 899423011; 2361258; 2380124; 895213032; 624355; 899632202; 2647591; 895776636; www.bagrationi_liceumi.ge; info@bagrationi-liceumi.ge

**შეეწიეთ სნეულ პატარას**



2 წლინახევრის ილია იმერლიშვილს ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.

ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი მანკით — ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზით. თითქმის 2 წელია, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში:

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"; ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502**

**მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი.**

**მიმღების ანგარიშის ნომერი: GE47BG0000000270473600**

**მაგთის და ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომერზე — 700861 ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).**

**დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტსაიტზე — www.support-ilia.com საკონტაქტო ტელეფონები: 223-10-86 ; 574-555-277 — ბავშვის დედა ნაზი ამონაშვილი.**

**მეოხნი**

**წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი (+1227)**

**30 ივნისი**



წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი გამორჩეული მეომარი იყო წმინდა თამარ მეფის (ხს. 1 მაისს) მხედრობაში. ერთგულებისა, სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის დიდმა თამარ მეფემ იგი ახალციხის მთავრად დანიშნა. შამქორის გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო, ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა, სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

უანგარო მსახურებისათვის წმინდა შალვას მეფე თამარმა მანდატურთუხუცესობა უბოძა. მეფის ბრძანებით, ბასიანის ბრძოლაში (1204 წ.) მანდატურთუხუცესი შალვა ქართველთა ძლევამოსილ მხედრობას ძმასთან, ივანე ახალციხელთან ერთად წინამძღოლობდა.

წმინდა თამარის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში დიდძალი ლაშქრით. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული ივანე ათაბაგი დაუდგინა.

სოფელ გარნისთან ექვსი ათასი ქართველი დადგა ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ. მოწინავე ლაშქრის მეთაურობა სიმამაცითა და სიმხნევით გამორჩეულ ძმებს, შალვა და ივანე ახალციხელებს დაევალა, ივანე ათაბაგი კი ძირითად ნაწილთან ერთად დარჩა გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

უშიშრად შეება თორ-ჯავახელების მცირერიცხოვანი ლაშქარი ურიცხვ მტერს, თავგანწირულად იბრძოდნენ ძმები, მაგრამ ამაოდ ელოდნენ მაშველ ჯარს, „არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა. ჰოი შური, ყოველ-

**შვილები ქრისტეს მხედრებად აღზარდეთ! ასწავლეთ მათ ღვთის მოშიშება. ნორჩ, ჩამოუყალიბებელ პიროვნებებში ჩათესილი მარცვალი აუცილებლად გამოიღებს თავის ნაყოფს! და თქვენ პირველები მოიმკით მას, რადგან შვილის კეთილად აღზრდით უფლის წინაშე მადლს მოიპოვებთ.**

მშობელმა თავი ქალაქის მთავრად უნდა იგრძნოს. ოღონდ მისი ქალაქი — ბავშვის სულია! სული მართლაც ქალაქს წააგავს. ქალაქში ერთნი ქურდობენ, მეორენი კი პატიოსნად ცხოვრობენ; ერთნი შრომობენ, მეორენი კი — არა. ამის მსგავსად თანაარსებობენ ადამიანის სულში გონება და გულისთქმები. მოქალაქეები ქალაქში კარიბჭით შედიან და გამოდიან. ეს კარიბჭე ენაა. მასზე დავადოთ ოქროს კლიტე.

ეს ოქრო არის სიტყვა ღვთისა, რომელზეც წინასწარმეტყველი ამბობს, რომ იგი არს: „უფროის ოქროსა და ანთრაკთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროის თაფლისა და გოლეულისა" (ფსალმ. 18, 10). **მივაჩვიოთ ბავშვი, რომ მის ბაგეებს ყოველთვის სათნო და ტკბილი სიტყვები ამკობდეს.** მოციქული ამბობს: „ყოველი სიტყვაი უშვერი პირით თქვენით ნუ გამოვალნ, არამედ რაი იგი იყოს კეთილ აღსაშენებელად სარწმუნოებისა სახმრისათვის, რაითა მისცეს მადლი მსმენელთა მათ" (ეფეს. 4, 29). რამეთუ „ესე არს ბჭე უფლისაი, და მართალნი შევლენან მას შინა!" (ფსალმ. 117, 20).

*მოამზადა*
*მარიამ გაგუამ*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### შეეწიეთ სნეულ პატარას



2 წლინახევრის ილია იმერლიშვილს ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.

ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი მანკით — ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზით. თითქმის 2 წელია, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად — ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში:

**სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი";**

**ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502**

**მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი.**

**მიმღების ანგარიშის ნომერი: GE47BG0000000270473600**

**მაგთის და ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომერზე — 700861 ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).**

**დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტსაიტზე — www.support-ilia.com საკონტაქტო ტელეფონები: 223-10-86; 574-555-277 — ბავშვის დედა ნაზი ამონაშვილი.**

### შეეწიეთ სნეულს

თბილისის, ხარების სახელობის ტაძრის (ნუცუბიძის პლატო მე-3 მ/რ) მრევლს გელა ხახალეიშვილს ესაჭიროება თანხა მკურნალობისთვის. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობს და არ აქვს საშუალება, უმკურნალოს სნეულს.

ავადმყოფს აქვს მარცხენა ხელ-ფეხის პარეზი, ამპუტირებული აქვს მარჯვენა ფეხი, აქვს გულის უკმარისობა, კარდიომიოპათია და მოციმციმე არითმია.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ სნეულს.

**ვითიბი ბანკი ჯორჯია UGEBGE22**

**ანგარიშის მფლობელი — ლევან ხახალეიშვილი**
**IBAN: GE11VT0400100542803601**

### ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში

სკოლა-ლიცეუმი არის საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ლიცეუმში ფუნქციონირებს: მუსიკალური სტუდია; 6 წლამდე ასაკის მოსამზადებელი განყოფილება; კომპიუტერული ცენტრი Word, Excel, Epps, CorelDRAW, Internet; უცხოური ენების შემსწავლელი კურსები: ინგლისური – OXFORD COURSE, გერმანული, რუსული. გაიცემა სერტიფიკატი. ლიცეუმში ასევე ისწავლება ქართული ენა უცხოელებისათვის. ბავშვებისათვის სასურველია მოძღვრის რეკომენდაცია. მისამართი: პეკინის 34 / ყაზბეგის გამზ. 2, 1 სართული. ტელ. 2514037 (სკოლა – ლიცეუმი); 299423011; 2361258; 2380124; 595213032; 2624355; 599632202; 2647591; 295776636; www.bagrationi_liceumi.ge; info@bagrationi-liceumi.ge

### ხელდასხმა

2 ივლისს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის ბერი გრიგოლი (წულაია).

ბერ-დიაკონი გრიგოლი შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

### დავითაშვილების გვარის განცხადება

24 ივლისს, წირვის დასრულების შემდეგ, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში დაგეგმილია დავითაშვილების გვარის შეკრება, სადაც მოხდება გვარის დალოცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ორგინაზატორები სთხოვენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა დავითაშვილს, გამოიჩინონ გულისხმიერება და დაესწრონ აღნიშნულ შეკრებას.

**საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მისამართია: ქ. თბილისი. ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი.**

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული გიორგის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ნიკორწმინდელ მიტროპოლიტ ელისეს გარდაეცვალა სიმამრი — ვალერიან ნაცვლიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვალერიანის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპისკოპოს ზენონს გარდაეცვალა მამა — შოთა იარაჯული და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული შოთას სული.

## ხელდასხმა

19 ივნისს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა (იორამაშვილი ) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტს გიორგი ბერბერაშვილს.

მღვდელი გიორგი თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში იმსახურებს.

* * *

10 ივლისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორს, დიაკონ გიორგი შაშვიაშვილს.

მღვდელი გიორგი დიღომში, ლაზარეს აღდგინების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

* * *

26 ივლისს მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკონ დავით ტატანაშვილს.

მღვდელი დავითი თბილისის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

## დაჯილდოება

12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იღუმენი თეიმურაზ კალანდაძე არქიმანდრიტის წოდებით დააჯილდოვა.

* * *

12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელ-მონაზონი ილია ფაჩულია იღუმენის წოდებითა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

* * *

24 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დეკანოზი ექვთიმე წულუკიძე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.

## შეეწიეთ სნეულ პატარას



3 კვირის ჩვილ ბარბარეს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, სანაღვლე გზების ატრეზია და ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია საზღვარგარეთ, ის ორი დღის იყო, როდესაც სწორ ნაწლავზე ოპერაცია ჩაუტარდა და ღვთის წყალობით ყველაფერი ამ მხრივ კარგად დამთავრდა,მაგრამ დანარჩენ ოპერაციებს უკვე საქართველოში ვეღარ აკეთებენ, ბავშვს შეიძლება დასჭირდეს ღვიძლის ტრანსპლატაცია (გადანერგვა), ამიტომ სასწრაფოდ, სულ რაღაც 2 კვირაში, უნდა გაკეთდეს ეს ოპერაცია.

გთხოვთ ყველას, დაეხმარეთ ბარბარეს, რომ იცოცხლოს. თუ ეს ოპერაცია არ გაკეთდა, შეიძლება განვითარდეს ცეროზი და შედეგიც სავალალო იქნება. უმორჩილესად გთხოვთ, დაგვეხმარეთ თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

ბარბარეს სახელზე გახსნილია ანგარიში:
სააქციო საზოგადოება"საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE29BG0000000342788200
მიმღები: ბარბარე რუხაძე
საკონტაქტო ტელ.ნომრები: 551–42–42–37
558–14–61–20 (მამა თეიმურაზი რუსაძე)
e-mail: mamateimurazi@gmail.com

ღმერთმა დაგლოცოთ და შეიწიროს თქვენი ქველმოქმედება.

## შეეწიეთ სნეულ პატარას



2 წლინახევრის ილია იმერლიშვილს ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია გერმანიაში.

ბავშვი დაავადებულია საშარდე სისტემის თანდაყოლილი მანკით – ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზით. თითქმის 2 წელია, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად — ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში:
**სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი";**
**ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502**
**მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი.**
**მიმღების ანგარიშის ნომერი: GE47BG0000000270473600**

**მაგთის და ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომერზე — 700861, ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).**

## რუსთავში უძველესი ქართული სატაძრო სამშენებლო წესით აშენებული ახალი ეკლესია იკურთხა

27 აგვისტოს რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელმა) რუსთავში აკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახლად აშენებული ტაძარი.

რუსთავის სიონი თითქმის ათი წლის განმავლობაში შენდებოდა. იგი უნიკალურია იმით, რომ აშენებულია უძველესი ქართული სატაძრო სამშენებლო წესით — კირითა და დუღაბით, დახურულია ქვის ლორფინებით, შემოსილია უნიკალური ქართული ჩუქურთმით.

ტაძრის ქტიტორია ბიზნესმენი თამაზ გველუკაშვილი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დიმიტრი გორგიძე. არქიტექტურული საბჭოს ხელმძღვანელია დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, ხუროთმოძღვარი — თეიმურაზ ბურკიაშვილი.



28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რუსთავის სიონის ახლადნაკურთხ ტაძარში პარაკლისი აღავლინა; დღესასწაული მიულოცა მორწმუნე ერს, დალოცა ტაძრის აღმშენებლები და ხაზი გაუსვა ტაძრის განსაკუთრებულობას: „მართლაც, მრავალი წელია, მრავალი საუკუნეა ასეთი ტაძარი არ აშენებულა საქართველოში. ეს არის სადიდებელად ღვთისა, სადიდებელად ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა, რომლის მამულია საქართველო".

ამავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოს იოანეს.

უწმინდესმა და უნეტარესმა ტაძრის ქტიტორს, ბატონ თამაზ გველუკაშვილს წმიდა გიორგის მედალიონი და ვერცხლის სამაჯური უსახსოვრა.

## ტაძრების კურთხევა

20 სექტემბერს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) აკურთხა რუსთავის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად მღვდელი ლევან ნაცვლიშვილი დაინიშნა.

* * *

26 სექტემბერს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკვდერი აკურთხა .

* * *

27 სექტემბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ვაშლიჯვარის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია.

ტაძრის წინამძღვრად დეკანოზი გიორგი სახვაძ დაინიშნა.

***

4 ოქტომბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა თხინვალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც მამათა მონასტერი დაფუძნდა.

მონასტრის წინამძღვრად იღუმენი მიქაელი (ოთარაშვილი) დაინიშნა.

## აღკვეცები და ხელდასხმები

14 აგვისტოს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში დასავლეთ ევროპის ეპარქიის, ბარის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქართული სამრევლოს წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მოსემ (ჭანკვეტაძე) ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული და თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი **კახაბერ მაჩაიძე** და სახელად **კირიონი** უწოდა.

***

21 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **ბერი კირიონი (მაჩაიძე)** დიაკვნად აკურთხა.

**ბერ-დიაკონი კირიონი** დასავლეთ ევროპის ეპარქიაში იმსახურებს.

***

28 აგვისტოს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში არგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკონ იოანე მალაღურაძეს.**

**მღვდელი იოანე** ზესტაფონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

29 აგვისტოს მარტყოფის ღვთაების მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი დილმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკონ ბასილ ნიქაცაძეს.**

**მღვდელი ბასილი** სამგორის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

***

7 სექტემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპის-

კოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ დავით თავაძეს.**

**მღვდელი დავითი** სხლათის ეპარქიაში იმსახურებს.

***

7 სექტემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი **ნოდარ თურმანიძე** და სახელად **ნიკოლოზი** უწოდა.

**დიაკონი ნიკოლოზი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

10 სექტემბერს მესტიის შუშანიების მთავარანგელოზთა სახელობის სავანეში სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მონაზვნად აღკვეცა ამავე სავანეში მოღვაწე, წმინდა ალექსი ბერის შთამომავალი, მორჩილი **ნინო შუშანია** და სახელად **ნინო** უწოდა.

***

11 სექტემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ვარკეთილის ზემო პლატოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის **დიაკონ ლაზარე დულუზაურს.**

**მღვდელი ლაზარე** თბილისის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

11 სექტემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპის-



კოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი **დავით ბუტიკაშვილი.**

**დიაკონი დავითი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

11 სექტემბერს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი დასავლეთ ევროპის ეპარქიის ღვთისმსახურს, **ბერ-დიაკონ კირიონს (მაჩაიძე).**

***

12 სექტემბერს თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ლონგინოზ სუარიშვილს.**

**მღვდელი ლონგინოზი** კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

25 სექტემბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ ალექსი გელაშვილს.**

***

25 სექტემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა მღვდლად ამავე ტაძრის დიაკონს ნიკოლოზ ტატუაშვილს და დიაკვნად აკურთხა ილია მაღრაძე.

***

27 სექტემბერს ვაშლიჯვარის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ თადეოზს (თანდაშვილი),** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **ლევან ალადაშვილი.**

**მღვდელ-მონაზონი თადეოზი** სოფელ გლდანის წმინდა გრიგოლი ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს, ხოლო **დიაკონი ლევანი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში დაინიშნა.

## დაჯილდოება

7 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი საბა ლევერაშვილი.**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ზემო ფონიჭალის ყოველთა წმინდათა სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი, **მღვდელი იოანე წკეპლაძე.**

***

21 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ქუთაის-გაენათის ეპარქიის, ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი აბიბოს გუბაევი.**

***

28 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი ტიმოთე წიკლაური.**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი თეიმურაზ მჟავანაძე.**

***

2 სექტემბერს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობ-

ლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — ლენტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი იოსებ ნიგურიანი;**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — ლასურაშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ცოტნე (მარიამიძე);**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — ცაგერის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ილარიონი (სახელიშვილი);**

დეკანოზის წოდებით — ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი გიორგი მდივანი;**

დეკანოზის წოდებით — ცანას მაცხოვრის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი იაკობ კვირიკაშვილი;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ლაილაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი გიორგი ონიანი.**

***

4 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა თბილისის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურს, **მღვდელ დავით გოცირიძეს.**

***

11 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა თბილისის წმინდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიის (ლურჯი მონასტერი) მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი ფეიქრიშვილი.**

***

21 სექტემბერს დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტრით დააჯილდოვა ამავე ტაძრის სამღვდელოება: **დეკანოზი ვახტანგ სტეფნაძე** და **დეკანოზი ბაქარ ბურდული.**

***

27 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრებით დააჯილდოვა ნაძალადევის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურნი: **დეკანოზი ფარნაოზ კობიაშვილი, დეკანოზი ზაზა კირვალიძე** და **დეკანოზი არსენ თვალიაშვილი.**

***

2 ოქტომბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება.

დეკანოზის წოდებით და გამშვენებული ჯვრით — ნორიოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი კახაბერ უერთაშვილი;**

გამშვენებული ჯვრით — ვეძისის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **სქემიღუმენი სერგი (კურცხალიძე).**

**სამძიმარი**

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 4 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ღვთივ განისვენა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის, თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, **დეკანოზ მიქაელ ფილაურის** მეუღლემ **ნინო თაყნიაშვილმა,** რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მონაზვნად აღიკვეცა და სახელად **მარიამი** ეწოდა.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი სამძიმარს უცხადებს დეკანოზ მიქაელ ფილაურს და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **მონაზონ მარიამის** სული.

***

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 15 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა თბილისის წმინდა მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიის მედავითნე **ზაზა გუბელაძე.**

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **ზაზას** სული.

## ალიასკელები სტუმრად საპატრიარქოში

3 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო ალიასკის წმინდა ინოკენტის სახელობის მართლმადიდებლური აკადემიის სტუდენტები. სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა პაისიმ მოკლედ გააცნო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აკადემიის საქმიანობა. სტუდენტებმა ქართულ და ინგლისურ ენებზე რამდენიმე საგალობელი და ხალხური სიმღერა და ალიასკის მკვიდრი მოსახლეობის ალეუტების ენაზე სააღდგომო საგალობელი შეასრულეს.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სტუმრებს თავისი მუსიკალური ნაწარმოები მოასმენინა და საჩუქრად გადასცა ეს დისკები.

## ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზში

12-18 სექტემბერს ცხინვალის მოსაზღვრე სოფელ ნიქოზში პირველი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით (განათლებით ანიმატორმა), ნიქოზის ხელოვნების სკოლის ორგანიზებითა და შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ არსოშვილის მხარდაჭერით მოეწყო.

საქართველოში პოლონეთის საელჩოსთან ერთად, ფესტივალის მხარდამჭერია პოლონეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც წლებია, ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ბათუმის ფესტივალს, ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს ამერიკელი მეგობრები და გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტაცია, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს სტუმართა მიღება და ყველა საორგანიზაციო საქმე.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აშშ–ის, პოლონეთის, ბელორუსისა და რუსეთის დელეგაციებმა.

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ შუამდგომლობის მისაღებად აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

მოძღვრის დახასიათება-შუამდგომლობა — საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის სახელზე;

სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება) ასლი;

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების ამსახველი ცნობები (ავადმყოფობის, მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები, ოჯახის სოციალურად დაუცველობის ცნობა, დახასიათება სამსახურიდან ან სასწავლებლიდან, ასევე მეზობლების დახასიათება) თითო ცალად;

თუ საქმეში დაზარალებულია, მისი თანხმობა მსჯავრდებულის შეწყალებაზე – ხელმოწერა დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

შეწყალების შესახებ შუამდგომლობას საპატრიარქო ვერ გაუწევს იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც გასამართლებულნი არიან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, კერძოდ:

მკვლელობისათვის;

გაუპატიურებისათვის;

ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციისათვის;

თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის;

ქურდული სამყაროს წევრობისათვის.

5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში აუცილებელია მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდეს მისჯილი სასჯელის 1/3, ხოლო 5 წლიდან ზევით — 1/2.

საბუთები საშობაო შეწყალებასთან დაკავშირებით მიიღება 12 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე.

*მიღების დღეები:*

***ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი 14 საათიდან 17 საათამდე.***

*ტელ. 298-74-71*

### დაჯილდოება

9 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **ილუმენი ფოკა (მარკოზია)** დააჯილდოვა არქიმანდრიტის წოდებით.

* * *

9 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **დეკანოზი ფრიდონ ასათიანი** მიტრით დააჯილდოვა და 50 წლის იუბილე მიულოცა.

* * *

21 სექტემბერს ლასურიაშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტერში, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ დიაკვნად აკურთხა **ბერი საბა (ფილიევი)**.

### ტაძრის კურთხევა

11 ოქტომბერს კიკეთში სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) აკურთხა ახლად აშენებული ტაძარი. ტაძარში ორი ტრაპეზია — წმინდა მოწამე კათოლიკოს-პატრიარქი კირიონისა და წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) სახელობისა. ახლად ნაკურთხ ტაძარში მეუფე შიომ პირველი წირვა აღავლინა.

იმავე დღეს, წირვის დასასრულს კიკეთის ტაძარს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად და პარაკლისი შეასრულა.

ახალი ტაძარი ბიზნესმენ ლევან ვასაძის შემოწირულობებით აშენდა.

### ხელდასხმა

2 ოქტომბერს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი **გიორგი კალანდია**.

**დიაკონი გიორგი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

9 ოქტომბერს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ბასილ კვანტალიანს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის **ბერი გიორგი (ვარდანაშვილი)**.

* * *

9 ოქტომბერს ამბროლაურის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ნიკორწმინდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) დიაკვნად აკურთხა ონის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის **მედავითნე გიორგი კობერიძე**.

ამავე დღეს მიტროპოლიტმა ელისემ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა ამბროლაურის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, **მღვდელ ელიზბარ სოფრომაძეს**.

### საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

***საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ წმინდა ადგილების მოსალოცად და გთავაზობთ შემდეგ მარშრუტებს:***

მცხეთა (სვეტიცხოვლობა, ღამისთევის ლიტურგიაზე დასწრება) 13 ოქტომბერი; ხუთშაბათი; გასვლა 23 საათზე; 10 ლარი;

გელათი-მოწამეთა-ბაგრატი (ხს. მთავართა დავით და კონსტანტინესი) 15 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 7 სთ; ფასი 20 ლ;

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სასულიერო აკადემიას ეწვია

18 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას ესტუმრა. კათოლიკოს-პატრიარქმა სტუდენტები დალოცა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და პირველკურსელებს ფულადი საჩუქრები გადასცა.

## კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოფელ დიღომში საპატრიარქოს კოლეჯს ეწვია

17 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სოფელ დიღომში არსებულ წმინდა ექვთიმე



ღვთისკაცის სახელობის საპატრიარქოს პროფესიულ კოლეჯს ეწვია.

კოლეჯი 2010 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ წელს სექტემბერში ავტორიზაცია გაიარა. ახალი სასწავლო წლის გახსნას დაესწრო განათლების მინისტრის მოადგილე, ბატონი კოკა სეფერთელაძე, სხვა ოფიციალური პირები.

კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა მოსწავლე ახალგაზრდობა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და კოლეჯის ახლადგარემონტებული შენობა დაათვალიერა.

სადღეისოდ კოლეჯში 110 პროფესიული სტუდენტი სწავლობს.

## მეცენატ ვანო ჩხარტიშვილს ეკლესიის ჯილდო მიენიჭა

ინგლისის ქართული სამრევლოების მხარდაჭერისა და ქართულ ემიგრაციაში მართლმადიდებლობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, მეცენატ ვანო ჩხარტიშვილს ინგლისში არსებული ქართული სამრევლოების ეპარქიის უმაღლესი ჯილდო მიენიჭა. ლონდონში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარში მას ჯილდო გადასცა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქართული სამრევლოების მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა ზენონმა (იარაჯული).

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ქართული სამრევლოები 30 ათასზე მეტ ქართველ მართლმადიდებელს აერთიანებს.

## დაჯილდოება

14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა:

**მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოს ილარიონს (ქიტიაშვილი),**

**გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა),**

**საგარეჯოსა და ნინოწმინდისა ეპისკოპოს ლუკას (ლომიძე).**

## აღკვეცა

19 აგვისტოს ბოდბის ეპარქიაში, წმინდა სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერში ხირსის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გრძელიშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილები: იგორ მელიქოვი და უწოდა დავითი, იოანე ქემაშვილი და უწოდა პიროსი, ოთარ მხეიძე და უწოდა მიქაელი, თეიმურაზ გულია და უწოდა სტეფანე.

## ხელდასხმა

2 ოქტომბერს ბორჯომის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკონ მიქაელ ვაჩნაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის **მნათე გიორგი როჭიკაშვილი.**

* * *

5 ოქტომბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის **სტუდენტი ზაზა გაბედავა.**

**დიაკონი ზაზა** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

9 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის, თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო... 

**დიაკონ იოსებ გელუკაშვილს.**

**მღვდელი იოსები** თბილისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

16 ოქტომბერს ნატახტარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსწრაფშემსმენელის ხატის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი კონსტანტინე (ამირეჯიბი).**

**ბერ-დიაკონი კონსტანტინე** შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

**საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის განცხადება**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოქალაქეებს უფასოდ ემსახურება სატელეფონო-საინფორმაციო ფსიქოლოგიური და სულიერი დახმარების ცენტრი „თანადგომა". ყველა მსურველს შეუძლია რელიგიურ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიიღოს დახმარება ამ ცენტრში ყოველდღე — 11-დან 18.00 საათამდე. კონსულტაციას გაგიწევთ სასულიერო პირი და ფსიქოლოგი.

***ტელეფონი: 43-55-00.***

**ტაძრის კურთხევა**

16 ოქტომბერს ნატახტარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელის ხატის სახელობის ახალი ტაძარი აკურთხა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი).

იმავე დღეს ახლადაგებული ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის წევრებთან ერთად მოილოცა და პარაკლისი შეასრულა.

ახლად ნაკურთხი ტაძარი უძველეს ნანგრევებზეა აგებული. როგორც ამბობენ, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ამ ადგილას მხოლოდ სამი ხე იდგა. კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და არქიმანდრიტ ილიას (ნასიძე) ძალისხმევით, ტერიტორია დასუფთავდა. განმენდითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ადრექრისტიანული ხანის ერთნავიანი ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და ამავე პერიოდის სამარხები აღმოაჩინეს. სპეციალისტების განცხადებით, ეს ისტორიული ადგილი საფუძვლიან შესასწავლია. ტაძრის სამშენებლო სამუშაოებში ადგილობრივებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეკლესიის ეზოში გაშენებული მეურნეობა დაათვალიერა. ახლადაგებული ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. სასულიერო პირებისთვის სენაკები და სატრაპეზო აიგება. მსწრაფლშემსმენელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი სამების საპატრიარქო ტაძრის მეტოქიონი გახდება.

* * *

18 ოქტომბერს მარგვეთის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში წმინდა თომა მოციქულის სახელობის ახლად აღდგენილი ტაძარი აკურთხა.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა დეკანოზი კირიონ მუშკუდიანი.

XIX საუკუნის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, მიდგმული სამრეკლოთი, სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით აღდგა. მისი არქიტექტორია აწ გარდაცვლილი რევაზ ცხადაძე.

აღსანიშნავია, რომ ამ ტაძარში მსახურობდა წმინდა სვიმონ მჭედლიძე, რომელიც კომუნისტებმა 1924 წ. ქუთაისში, საფიჩხიაზე დახვრიტეს.

ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები 4 წელიწადს გაგრძელდა.

* * *

8 ოქტომბერს ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში, სოფელ მახაშში, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) აკურთხა წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი.

**მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ შუამდგომლობის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი საბუთები:**

მოძღვრის დახასიათება-შუამდგომლობა საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის სახელზე;

სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენი, განჩინება) ასლი;

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების ამსახველი ცნობები (ავადმყოფობის, მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები, ოჯახის სოციალურად დაუცველობის ცნობა, დახასიათება სამსახურიდან ან სასწავლებლიდან, ასევე მეზობლების დახასიათება) თითო ცალად;

თუ საქმეში დაზარალებულია, მისი თანხმობა მსჯავრდებულის შეწყალებაზე – ხელმოწერა დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

შუამდგომლობას შეწყალების შესახებ საპატრიარქო ვერ გაუწევს იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც გასამართლებულნი არიან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, კერძოდ:

მკვლელობისათვის;

გაუპატიურებისათვის;

ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციისათვის;

თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის;

ქურდული სამყაროს წევრობისათვის.

5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში აუცილებელია მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდეს მისჯილი სასჯელის 1/3, ხოლო 5 წლიდან ზევით 1/2.

ნიშნა, რომ საქართველოში იეზიდი და ქურთი ხალხი საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად თანაცხოვრობს ქართველებთან და „ისინი ქართველი ერის ნაწილი გახდნენ". შეხვედრის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ერაყელ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ ნიკოლოზ რურუას, სახალხო დამცველს, ბატონ გიორგი ტუღუშსა და სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის საბჭოს წევრებს.

### წმინდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი მეოთხე სამეცნიერო საღვთისმეტყველო კონფერენცია

24-27 ოქტომბერს თბილისში, ცაგერსა და ლენტეხში მოეწყო წმინდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი მეოთხე გასვლითი სამეცნიერო საღვთისმეტყველო კონფერენცია.

24 ოქტომბერს კონფერენცია საზეიმოდ გაიხსნა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში. იმავე დღეს სამეცნიერო სხდომები შედგა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტში.

### მიტროპოლიტ ზოსიმეს ვულოცავთ იუბილეს!

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გულითადად ვულოცავთ მეუფე ზოსიმეს (შიოშვილი) დაბადებიდან 60 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ღვთის შეწევნას მის მოღვაწეობაში!

### მთავარეპისკოპოს თადეოზს ვულოცავთ იუბილეს!

20 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოეწყო თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი) 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

საზეიმო საღამოზე მეუფე თადეოზს იუბილე მიულოცეს ქართველმა პოეტებმა — თემურ ჩალაბაშვილმა, ტარიელ ხარხელაური, თინათინ მღვდლიაშვილი და სხვებმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა, როგორიცაა „ინანა", საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლი „იავნანა" და „ლაზარე".

დასასრულს თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა საკუთარი ლექსები წაიკითხა; შესრულდა მეუფის ლექსზე შექმნილი სიმღერის პრემიერა.

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გულითადად ულოცავს მეუფე თადეოზს დაბადებიდან 65 წლის იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ღვთის წყალობას!

### ხელდასხმა

16 ოქტომბერს ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის თავისუფალი მსმენელი **მელორი ჩალიგავა** და სახელად **იოანე** უწოდა.

**დიაკონი იოანე** ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დაინიშნა.

* * *

16 ოქტომბერს ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ საბა ჭიკაიძეს.**

**მღვდელი საბა** ვაკის წმინდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

23 ოქტომბერს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა **მორჩილი ბესარიონ ბაბუაძე** და სახელად **ბასილი** უწოდა.

### დაჯილდოება

23 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში **დეკანოზი ნიკოლოზ გობეჯიშვილი გამშვენებული ჯვრით**, ხოლო **მღვდელი კონსტანტინე ხუროძე ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** დააჯილდოვა.

### ტაძრის კურთხევა

22 ოქტომბერს მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აკურთხა ცხრაწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ახლადაგებული ტაძარი.

ცხრაწყაროს ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ქტიტორნი მამა-შვილი — ანატოლი და იაკობ გუმბერიძეები არიან.

მიტროპოლიტ ვახტანგის ლოცვა-კურთხევით ტაძრის წინამძღვრად მღვდელი კირილე გორგოძე დაინიშნა.

### სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ რუის-ურბნისის ეპარქიის სამწევრისის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წევრი, **სქემმონაზონი ზოილე (ალ-**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

**დაჯილდოება**

2 ნოემბერს ხონის სოფელ კუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტრის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მონაზვნები დააჯილდოვა:

**ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით** — მონაზონი ნინო ზუმბაძე,

**გამშვენებული ჯვრით** — იღუმენია ბარბარე ნიკლაური.

* * *

3 ნოემბერს სამტრედიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა ხონისა და სამტრედიის ეპარქიის სამღვდელოება და ბერმონაზვნობა:

**გამშვენებული ჯვრით:** დეკანოზი გიორგი იოსებაშვილი, დეკანოზი აკაკი ჟვანია, დეკანოზი დავით ტურძელაძე, დეკანოზი ზაქარია მესხი, დეკანოზი დამიანე ადამია, დეკანოზი ზურაბ ბუაძე და დეკანოზი მატათა ბერიძე;

**გამშვენებული ჯვრით** — იღუმენი პავლე (გოგიავა);

**ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით** — მღვდელ-მონაზონი გიორგი (ჯანელიძე);

**ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით** — მონაზონი სოფიო (კოხრეიძე).

**სამძიმარი**

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 2 ნოემბერს გარდაიცვალა საპატრიარქოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტრის **მონაზონი მარიამი (ჩხოტუა).**

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **მონაზონი მარიამი.**

**ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" 2011-2012**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" მოსწავლეთა შორის.

მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს;

კონკურსი გაიმართება ორ ასაკობრივ ჯგუფში: V-VIII და IX-XII კლასის მოსწავლეებში;

თითოეული გუნდი შედგება შვიდი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრისგან;

თითოეულ გუნდს ჰყავს მხარდამჭერები, რომლებიც შეასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერასა და საგალობელს;

მხარდამჭერთა ჯგუფი ყალიბდება იმავე სკოლის მოსწავლეებით, რომლითაც დაკომპლექტებულია მოასპარეზე გუნდი.

მხარდამჭერთა ჯგუფში არ უნდა შედიოდეს მოასპარეზე გუნდის წევრი.

ჩემპიონატი გაიმართება ხუთ ეტაპად:

1. სასკოლო; 2. სარაიონო; 3. ზონალური; 4. ნახევარფინალი; 5. ფინალი.

ასევე ჩატარდება სანუგეშო ეტაპები, რომელიც გულისხმობს შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას 0, 1 და 2 — ქულიანი დამარცხების შემთხვევაში (იხ. კონკურსის დებულება). აღნიშნული არ ეხება სასკოლო ეტაპიდან სარაიონოზე გადასვლას.

თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება:

ა) გუნდის სახელწოდება; ბ) კაპიტნისა და გუნდის წევრთა სია, თითოეულზე კლასის მითითებით; გ) გუნდის ხელმძღვანელის საკონტაქტო მონაცემები; დ) გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრების ჩამონათვალი (ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი); ე) 50 კითხვა-პასუხი წმიდა წერილიდან (25 — ძველი და 25 — ახალი აღთქმიდან), თითოეულზე წყაროს მითითებით (გამოიყენეთ მხოლოდ საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლია).

წყაროების მითითების მაგალითები: 1. (დაბ. 1; 7); 2. (მთ. 3; 19); 3. (I მეფ. 5; 12) 4. (აპოკ. 4; 7) და ა.შ.

განაცხადები მიიღება 2011 წლის 30 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე, სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით), 13.00 დან—18.00 საათამდე, როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე:

-მაილ: biblia@axalgazrdoba.ge

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციამ წარმატებით ჩაიარა, თქვენ მიიღებთ სარეგისტრაციო ნომერს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუკავშირდით ორგანიზატორებს ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო ნომრებზე.

დაგვიანებული განაცხადების მიღება შესაძლებელია 2011 წლის 30 ნოემბრამდე, ამ შემთხვევაში გუნდი დაჯარიმდება 3 ქულით. არასრული განაცხადები არ მიიღება.

მისამართი: ქ.თბილისი, ელიას მთა. ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

კონკურსის დებულება იხილეთ ვებგვერდზე: www.axalgazrdoba.ge ან ადგილობრივ რესურს-ცენტრში.

საკონტაქტო ნომრები: 595 300 516; 59595 54 54

**საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის განცხადება**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოქალაქეებს უფასოდ ემსახურება სატელეფონო-საინფორმაციო ფსიქოლოგიური და სულიერი დახმარების ცენტრი „თანადგომა". ყველა მსურველს შეუძლია რელიგიურ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირე-

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ვიზიტი მოსკოვში

18-24 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვს ეწვევა, სადაც მონაწილეობას მიიღებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი კირილეს 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორი ეკლესიის მეთაურთა ერთობლივი წირვა ქრისტე მაცხოვრის სახელობის მოსკოვის საპატრიარქო ტაძარში.

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სადღესასწაულო წირვას აღავლენს მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში.

### საზეიმო მსვლელობა თბილისში

13 ნოემბერს, ასი ათას ქართველ მოწამეთა ხსენების დღეს, წირვის დასასრულს, დღის პირველ საათზე თბილისის სხვადასხვა ტაძრიდან მრევლი ვარდების მოედანზე შეიკრიბა, საიდანაც დაიწყო საზეიმო მსვლელობა ხატებითა და ბაირაღებით მეტეხის ხიდისკენ. 14.00 სთ-ზე მეტეხის ხიდზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდელოებასთან ერთად ასი ათასი ქართველი მოწამის სახელზე პარაკლისი შეასრულა და მტკვარს ყვავილების გვირგვინი გაატანა. მეტეხზე შეკრებილმა მრევლმა უამრავი ყვავილებით შეამკო მტკვრის დინება და ამგვარად პატივი მიაგო ასი ათას ქართველ მოწამეთა ხსოვნას.

პარაკლისის დასასრულს ხიდზე მოეწყო კონცერტი.

### დაჯილდოება

13 ნოემბერს, ასი ათას ქართველ მოწამეთა ხსენების დღეს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდელოება დააჯილდოვა:

ქუთაისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი როსტომ კუჭუხიძე — მიტრის ტარების უფლებით;

შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე) — მეორე გამშვენებული ჯვრით;

სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი თეიმურაზ მჟავანაძე — გამშვენებული ჯვრით;

მარტყოფის ღვთაების მონასტრის საძმოს წევრი, მღვდელ-მონაზონი შალვა (შენგელია) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

მღვდელ-მონაზონი იოთამი (ბასილაია) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით.

### ტაძრის კურთხევა

10 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, ნავთლუღის დასახლებაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესია აკურთხა და პირველი წირვა აღავლინა.

* * *

12 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში, მეტეხის ხიდთან ასი ათას ქართველთა მოწამეთა სახელობის ახალი ეკლესია აკურთხა და პირველი წირვა აღავლინა.

* * *

15 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) თბილისში სამტრედიის ქუჩაზე აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და წირვა აღასრულა.

წირვის დასასრულს ტაძარს ეწვია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სამღვდელოებასთან ერთად და პარაკლისი შეასრულა.

### ხელდასხმა

13 ნოემბერს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკონ მიქაელ მეკრავიშვილს, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი პაატა ბარბაქაძე და სახელად გაბრიელი უწოდა.

### საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის განცხადება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოქალაქეებს უფასოდ ემსახურება სატელეფონო-საინფორმაციო ფსიქოლოგიური და სულიერი დახმარების ცენტრი „თანადგომა“. ყველა მსურველს შეუძლია რელიგიურ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიიღოს დახმარება ამ ცენტრში ყოველდღე — 11-დან 18.00 საათამდე. კონსულტაციას გაგიწევთ სასულიერო პირი და ფსიქოლოგი.

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ალავერდის მონასტერს დიდი სიწმინდე შეემატა

22 ნოემბერს, აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა ალავერდის მონასტერში კიევო-პეჩორის წმიდა სამების ლავრიდან ღირსი მამების ხატი ჩამოაბრძანა, რომელიც საგანგებოდ ალავერდის მონასტრისათვის დაიწერა და შეიმკო. მასზე კიევო-პეჩორის ლავრაში მოღვაწე ღირსი მამების კრებულია გამოსახული. ხატის ზურგი სანაწილეს წარმოადგენს, რომელშიც 114 წმინდა ნაწილია ჩაბრძანებული. მას აქვს საქტიტორო წარწერა, რომ იგი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრისთვის შეიქმნა.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 20 ნოემბერს, კვირის წირვის შემდეგ, პეჩორის ლავრის მიძინების ტაძარში, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის, უნეტარესი ვლადიმირის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიაში გაწეული სამსახურისთვის აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი ღირსი მამების ანტონი და თეოდოსი პეჩორელების ორდენით დაჯილდოვდა, ასევე დაჯილდოვდნენ მისი თანმხლები სასულიერო პირები. სიგელი ეკლესიაში გაწეული სამსახურისთვის საზეიმოდ გადაეცა ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ მიქაელს (ფოფხაძე), დიღმის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ შიოს (მენაბდე), ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავითს (შარაშენიძე), შუამთის მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია იოანას (ნიკოლაიშვილი), რომლებმაც ხატი მეუფე დავითთან ერთად კიევიდან თბილისში ჩამოაბრძანეს.

### ხელდასხმა

23 ნოემბერს ამბროლაურის მაცხოვრის მირქმის სახელობის ეკლესიაში ნიკორწმინდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) დიაკვნად აკურთხა **თამაზ რატიანი** და სახელად **თომა** უწოდა.

### დაჯილდოება

27 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი კონსტანტინე ლეკიშვილი.**

### ტაძრის კურთხევა

19 ნოემბერს მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აკურთხა ზედა საქარის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია.

ზედა საქარის ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. მის განახლებაზე იზრუნეს სოსო და ლევან ფხაკაძეებმა, რომელთა მატერიალური დახმარებითაც აღდგა ტაძარი.

მარგველი მიტროპოლიტ ვახტანგის ლოცვა-კურთხევით ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი იოანე მალალურაძე** დაინიშნა.

### საძირკვლის კურთხევა

19 ნოემბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა პატარა ლილოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის საძირკველი.

***

19 ნოემბერს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა კრწანისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზისა და სხვა უხორცოთა ძალთა სახელობის ეკლესიის საძირკველი.

### ახალი გამოცემა

გელათის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარის, აკადემიკოს ბაბილინა ლომინაძის წიგნი „საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა“. ეს ნაშრომი ღვაწლმოსილი მეცნიერის ორმოცწლიანი მოღვაწეობის შედეგია, სადაც განხილულია მცხეთის საპატრიარქო კათედრის — სვეტიცხოვლის ტაძრის მიწათმფლობელობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის. ნაშრომი ემყარება გამოცემულ და გამოუქვეყნებელ საარქივო-სამუზეუმო დოკუმენტებს, რომლებიც ავტორმა მოიძია. წიგნს ერთვის ორი რუკა, რომელიც ეფუძნება მცხეთის სვეტიცხოვლის მამულების ერთიან, შემაჯამებელ სიგელებს, რომლებიც გამოცემულია და დამტკიცებული მეფეთა მიერ, რაც გვაძლევს მამულების რაოდენობისა და გეოგრაფიული განლაგების სიზუსტის გარანტიას.




დაინტერესებულ პირებს წიგნის შეძენა შეუძლიათ საპატრიარქოში არსებულ საეკლესიო მაღაზია-საწყობში.

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის განცხადება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურება სატელეფონო-საინფორმაციო ფსიქოლოგიური და სულიერი დახმარების ცენტრი „თანადგომა“. ყველა მსურველს შეუძლია, რელიგიურ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიიღოს დახმარება ყოველდღე — 11-დან 18.00 საათამდე. კონსულტაციას გაგიწევთ სასულიერო პირი და ფსიქოლოგი.

*ტელეფონი: 2 43-55-00.*

## მადლიერება



ბაღდათის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარს, ჩვენს ძვირფას მოძღვარს, არქიმანდრიტ მაკარს (აბესაძე) ვულოცავთ დაბადებიდან საიუბილეო თარიღს და ვანი-ბაღდათის ეპარქიაში მსახურების მე-15 წელს!

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სულიერ მხნეობასა და უფლის წყალობას მის დაულალავ და ერთგულ მსახურებაში!

**სიყვარულითა და პატივისცემით
ბაღდათის ივერიის ღვთისმშობლის
სახელობის ტაძრის მრევლი.**

## დაჯილდოება

11 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდელოება დააჯილდოვა:

**დეკანოზი გიორგი სხირტლაძე** — გამშვენებული ჯვრით;

**მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

**დეკანოზი ილია კარკაძე** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი ლუკა ნითური** — გამშვენებული ჯვრით;

**მღვდელი ილარიონ კვიმსაძე** — დეკანოზის წოდებითა და გამშვენებული ჯვრით.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 17 დეკემბერი, 11.30-12.30 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 21 დეკემბერი, 16.17 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ., (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით).

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით.***

*დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31*

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები.**

**დასწრება თავისუფალია.**

**ხუთშაბათი** — 15.12.11. — ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და ისტორია. თემა: „დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა“. საუბარს წარმართავს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). (18:30 სთ.)

**პარასკევი** — 16.12.11. — ბარბარობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

**კვირა** — 18.12.11. — ფილმის ჩვენება. თამარ თაგვაძისა და ირაკლი რობაქიძის ფილმი: „აკაკი შანიძე“. (15:00 სთ.)

**ორშაბათი** — 19.12.11 — ნიკოლოზობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

**სამშაბათი** — 20.12.11. — პატრიარქის ნათლულების მშობლებთან შეხვედრა. (18:30 სთ.)

**ოთხშაბათი** — 21.12.11. — პოეტ ალექსანდრე გველესიანის შემოქმედებითი საღამო. (19:00 სთ.)

**ხუთშაბათი** — 22.12.11. — ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და ისტორია. თემა: „რა სწამს მას, ვისაც არ სწამს“. (უმბერტო ეკოსა და კარლო მარტინის დიალოგის მიხედვით.) საუბარს წარმართავს ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტი, მღვდელი გიორგი წეროძე. (18:30 სთ.)

**პარასკევი** — 23.12.11. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა. თემა: „დეპრესია“. საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ქიქოძის სახელობის ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგი მარიამ ბურჭულაძე. (18:00 სთ.)

**კვირა** — 25.12.11. — ფილმის ჩვენება. თამარ დულარიძის ფილმი: „სოკრატე დუელში“. (15:00 სთ.)

**დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**

**ოფიციალური რეცენზენტები:**

1. **გვანცა კოპლატაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

2. **ნესტან სულავა,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე:** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი ემირიტუსი ***დამანა მელიქიშვილი.***

სადისერტაციო კომისიის **სწავლული მდივანი:** პროფესორი ***ლელა ხაჩიძე.***

**სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა -** პროფესორები: ზაზა სხირტლაძე, ანა ხარანაული, რუზა ევგენიძე, მარიკა მშვილდაძე, მზექალა შანიძე, გრივერ ფარულავა, გიორგი ალიბეგაშვილი, მარინა გიგოლაშვილი (ასტრონომი), გიორგი რაქვიაშვილი (მათემატიკოსი).

კომისიის სწავლულმა მდივანმა, ქალბატონმა **ლელა ხაჩიძემ** სადისერტაციო კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შესახებ **სამი გამოხმაურება**:

1. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლეისტიკის კათედრის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ***დეკანოზ გიორგი ზუგუშვილის*** წერილი;

2. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ***მარიამ ცაცანაშვილის*** წერილი;

3. სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორის, მათემატიკის დოქტორის, ***იოსებ გუბელაძის*** წერილი.

**სიტყვით გამოვიდნენ** პროფესორები: დამანა მელიქიშვილი, ჯონი აფაქიძე, მზექალა შანიძე, გრივერ ფარულავა, გიორგი ალიბეგაშვილი, ავთანდილ კახნიაშვილი.

ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კომისიამ **დაადგინა,** რომ **დეკანოზ ბიძინა გუნიას მიენიჭოს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.**

## ფილმ „საიდუმლო საქართველოს" პრეზენტაცია

12 დეკემბერს საპატრიარქოსთან არესებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ქ. რუსთავის სტუდია „გუთანის" შემოქმედებითი ჯგუფის მიერ გადაღებული ფილმის პრეზენტაცია გაიმართა. რეჟისორმა ლექსო გელაშვილმა დოკუმენტურ სურათში, რომელსაც „საიდუმლო საქართველო" უწოდა, აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მრევლის ცხოვრება ასახა. ფილმის პრეზენტაციას ესწრებოდნენ: რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი, კანადისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქართული სამრევლოების მმართველი, მეუფე დიმიტრი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია, სხვა სასულიერო და საერო პირნი.

ფილმის ჩვენების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ თავის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა.

## აქცია ეკლესიის მშენებლობის დასახმარებლად

27 ნოემბერს გაზეთ „ობიექტივს" ინიციატივით, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტ იოანეს ლოცვა—კურთხევითა და წმინდა მოციქულთა პეტრე-პავლეს სახელობის მშენებარე ტაძრის ღვთისმსახურის, დეკანოზი მაქსიმეს ხელშეწყობით, ქ. რუსთავის თეატრში ჩატარდა აქცია-კონცერტი წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ეკლესიის მშენებლობის დასახმარებლად. აქციაში მონაწილეობა მიიღეს 13 ასურელი მამის ეკლესიასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლ ,,გორგასალმა", ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „რუსთაველმა", ფოლკლორულმა სკოლა „ალილომ", პროექტ „ნუცას სკოლის" აღსაზრდელებმა და სხვ.

საღამო გაიხსნა ბატონ თემურ წიკლაურის მიერ შესრულებული სიმღერით. აუდიტორიამ თბილად მიიღო თეატრში აჟღერებული სიმღერები და ქორეოგრაფიული ნომრები.

გაზეთი ,,ობიექტივი" სიხარულს გამოთქვამს, რომ მცირედი წვლილი შეიტანა წმ. მაქსიმე აღმსარებლის ტაძრის მშენებლობაში.

## ხელდასხმა

19 დეკემბერს ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში (კრწანისის ველთან) გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკონს შალვა ჩაჩანიძეს.

მღვდელი შალვა სამგორის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

## დაჯილდოება

13 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდელოება დააჯილდოვა:

მღვდელ-მონაზონი ანდრია (სილაგაძე) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

მღვდელ-მინაზონი ანდრია (ალადაშვილი) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით.

* * *

18 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტა-

რესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება.

*მიტრით:*

ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის (ნუცუბიძის II მ/რ.) წინამძღვარი, **დეკანოზი ანდრია თოდაძე;**

*გამშვენებული ჯვრით:*

დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი გელა ჩადუნაშვილი;**

დიდი დიღმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი მერაბ დეკანოსიძე;**

*ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით:*

დიდი დიღმის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი არჩილ გვიმრაძე;**

ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის (ნუცუბიძის II მ/რ.) მღვდელმსახური, **მღვდელი ლევან მერაბიშვილი.**

## ტაძრის კურთხევა

18 დეკემბერს ზესტაფონის ძირძველ უბანში, საყავრიაში, მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აკურთხა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე, მეუფე ვახტანგმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა ახლადნაკურთხ ტაძარში.

ტაძრის მშენებლობას 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმის მოთავე და ინიციატორი ამავე უბნის მკვიდრი, ბატონ დავით მინაშვილი გახლდათ. ტაძრის მშენებლობაში მთელი უბანი ილებდა მონაწილეობას.

მარგველი მიტროპოლიტის ვახტანგის ლოცვაკურთხევით წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მღვდელი კირილე გიორგაძე დაინიშნა. ასევე, ამ ტაძარში იმსახურებს დეკანოზი დავით გიორგაძე.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი — 23 დეკემბერს, 15.00-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 24 დეკემბერი, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 24 დეკემბერი, 14.00-15.30 სთ.;

ოფთალმოლოგი — 24 დეკემბერი, 14.00-15.30 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 24 დეკემბერი, 15.30-16.30 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 25 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.,

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 26 დეკემბერს, 15.00-17.00 სთ.,

ოტორინოლარინგოლოგი — 28 დეკემბერი, 16.30-18.00 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ., (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით).

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული და ზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით.***

***დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31***

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები.**

**დასწრება თავისუფალია.**

**ხუთშაბათი** — 22.12.11. — ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და ისტორია. თემა: „რა სწამს მას, ვისაც არ სწამს" (უმბერტო ეკოსა და კარლო მარტინის დიალოგის მიხედვით.) საუბარს წარმართავს ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტი, მღვდელი გიორგი წეროძე. (18:30 სთ.).

**პარასკევი** — 23.12.11. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა. თემა: „დეპრესია". საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ქიქოძის სახელობის ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგი მარიამ ბურჭულაძე (18:00 სთ.).

**კვირა** — 25.12.11. — ფილმის ჩვენება. თამარ დულარიძის ფილმი: „სოკრატე დუელში"(15:00 სთ.).

***25 დეკემბრიდან ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში საშობაო არდადეგები.***

***შემეცნებითი საუბრები განახლდება 1 მარტიდან.***

## საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

რუისი —ურბნისი-ბრეთი — 24 დეკემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

მწვანე მონასტერი-ტიმოთესუბანი — (ხს. სპირიდონ ტრიმიფუნტელისა) 25 ლ;

დეკემბერი; კვირა: გასვლა 8სთ; ფასი 18 ლ;

ისრაელი წმიდა მიწა ფასი 1500-1600 $;

**მომლოცველებს მოემსახურება გიდი.**

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: ***292 39 78*** **(11-დან 17 სთ-მდე);**

ტელ/ფაქ: ***292 39 79; 5 77 44 30 10:;***

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**